



GEORGIA
HEALTHCARE
GROUP

2025 წლის 12 სექტემბერი

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“
პასუხისმგებელი პირების განცხადება

ვადასტურებთ, რომ სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405746634) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მიხედვით მომზადებული 2024 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს სს “საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის” ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს. მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას 2024 წლის განმავლობაში.

ირაკლი გოგია

სს “საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის”
გენერალური დირექტორი

გიორგი ალფაიძე

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური
ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	8
3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	24
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ.....	26
6. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება.....	29
7. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	31
8. ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	32
9. გადახდილი ავანსები	33
10. სხვა აქტივები.....	33
11. მარაგები.....	34
12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	34
13. საკუთარი კაპიტალი.....	34
14. ნასესხები სახსრები	36
15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები.....	37
16. სავაჭრო ვალდებულებები	38
17. ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან.....	38
18. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება.....	39
19. სხვა საოპერაციო შემოსავალი	40
20. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	40
21. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	40
22. ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა აქტივების გაუფასურება	41
23. სხვა საოპერაციო ხარჯები	41
24. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი	42
25. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება.....	42
26. გადასახადები.....	43
27. პირობითი ვალდებულებები	43
28. რისკის მართვა.....	45
29. სამართლიანი ღირებულების შეფასება	54
30. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	57
31. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	58

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციონერსა და სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისა“ და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადებისგან, შესადარისი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის შესადარისი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე ჯგუფის შესადარისი კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის საქმიანობის შესადარისი კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ შედეგებსა და შესადარისი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფულადი სახსრების მოძრაობას, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტები წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტებზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტებს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტებზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტებთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტების პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტებზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- ▶ ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტების დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტების პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტების ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური წლის ინფორმაცია შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

2025 წლის 6 ივნისი

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნები	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	6	539,524	515,236	518,868
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	7	92,764	83,084	79,482
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	8	9,741	8,933	6,225
გადახდილი ავანსები	9	5,106	3,464	7,257
სხვა აქტივები	10	14,778	16,171	16,464
სულ გრძელვადიანი აქტივები		661,913	626,888	628,296
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	11	30,852	29,251	24,688
გადახდილი ავანსები	9	6,471	5,946	2,596
სხვა აქტივები	10	11,426	15,585	5,426
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	8	80,150	85,174	87,827
სხვა მოთხოვნები	1	–	30,560	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	38,784	34,271	35,333
სულ მოკლევადიანი აქტივები		167,683	200,787	155,870
სულ აქტივები		829,596	827,675	784,166
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	13	105,280	–	–
დამატებით შეტანილი კაპიტალი	13	7,971	3,526	–
შერწყმის რეზერვი	13	–	135,000	135,000
გაუნაწილებელი მოგება		233,735	221,637	257,710
საკუთარი კაპიტალი, მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის		346,986	360,163	392,710
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები	1	33,170	33,603	33,346
სულ საკუთარი კაპიტალი		380,156	393,766	426,056
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	6	26,077	20,975	13,869
ნასესხები სახსრები	14	141,707	62,442	166,678
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15	–	–	40,434
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		167,784	83,417	220,981
მოკლევადიანი ვალდებულებები				
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები		39,575	41,909	38,423
სავაჭრო ვალდებულებები	16	25,750	29,086	26,205
საიჯარო ვალდებულებები	6	6,086	5,106	3,753
ნასესხები სახსრები	14	200,540	220,091	54,734
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15	–	47,504	7,144
სხვა ვალდებულებები		9,705	6,796	6,870
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		281,656	350,492	137,129
სულ ვალდებულებები		449,440	433,909	358,110
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		829,596	827,675	784,166

1-58 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი გოგია

გენერალური დირექტორი

1 მაისი, 2025 წ.

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნები	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	6	539,524	515,236	518,868
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	7	92,764	83,084	79,482
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	8	9,741	8,933	6,225
გადახდილი ავანსები	9	5,106	3,464	7,257
სხვა აქტივები	10	14,778	16,171	16,464
სულ გრძელვადიანი აქტივები		661,913	626,888	628,296
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	11	30,852	29,251	24,688
გადახდილი ავანსები	9	6,471	5,946	2,596
სხვა აქტივები	10	11,426	15,585	5,426
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	8	80,150	85,174	87,827
სხვა მოთხოვნები	1	–	30,560	–
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	38,784	34,271	35,333
სულ მოკლევადიანი აქტივები		167,683	200,787	155,870
სულ აქტივები		829,596	827,675	784,166
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	13	105,280	–	–
დამატებით შეტანილი კაპიტალი	13	7,971	3,526	–
შერწყმის რეზერვი	13	–	135,000	135,000
გაუნაწილებელი მოგება		233,735	221,637	257,710
საკუთარი კაპიტალი, მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის		346,986	360,163	392,710
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები	1	33,170	33,603	33,346
სულ საკუთარი კაპიტალი		380,156	393,766	426,056
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	6	26,077	20,975	13,869
ნასესხები სახსრები	14	141,707	62,442	166,678
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15	–	–	40,434
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		167,784	83,417	220,981
მოკლევადიანი ვალდებულებები				
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები		39,575	41,909	38,423
სავაჭრო ვალდებულებები	16	25,750	29,086	26,205
საიჯარო ვალდებულებები	6	6,086	5,106	3,753
ნასესხები სახსრები	14	200,540	220,091	54,734
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	15	–	47,504	7,144
სხვა ვალდებულებები		9,705	6,796	6,870
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		281,656	350,492	137,129
სულ ვალდებულებები		449,440	433,909	358,110
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		829,596	827,675	784,166

1-58 გვერდებზე წარმოდგენილი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი გოგია

გენერალური დირექტორი

1 მაისი, 2025 წ.

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნები	2024	2023
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	17	400,233	369,109
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	18	(247,541)	(235,273)
საერთო მოგება		152,692	133,836
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19	10,608	13,570
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	20	(59,697)	(51,629)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(18,910)	(22,320)
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	22	(5,999)	(6,131)
სხვა საოპერაციო ხარჯები	23	(4,993)	(5,460)
		(89,599)	(85,540)
EBITDA		73,701	61,866
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	(44,174)	(42,400)
საპროცენტო შემოსავალი	24	925	1,342
საპროცენტო ხარჯი	24	(37,080)	(38,806)
ზარალი უცხოური ვალუტიდან		(1,388)	(1,407)
ზარალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან	20	(2,259)	(2,621)
ზარალი მარაგების ჩამოწერებიდან და ვადაგასული ან შეწყვეტილი ერთჯერადი პროექტებიდან	11	(1,060)	–
გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	14	(270)	–
ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, ინდივიდუალურად შეფასებული ხარჯები და სასამართლო დავების გამო დაკისრებული ხარჯები	22	–	(18,016)
შემოსულობა სამეურნეო ერთეულების გაყიდვიდან	1	–	4,506
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)		(702)	(342)
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე		(12,307)	(35,878)
მოგების გადასახადის ხარჯი	26	–	–
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი		(12,307)	(35,878)
წლის (ზარალი)/მოგება და მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც მიკუთვნება:			
- კომპანიის აქციონერებისთვის		(15,632)	(36,073)
- არამაკონტროლებელი წილების მფლობელებისთვის		3,325	195

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის					არამაკონ- ტროლებელი	
	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	შერწყმის რეზერვი	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ	წილის მფლობე- ლები	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი, 2023 წ.							
წლის (ზარალი)/მოგება	-	3,526	135,000	221,637	360,163	33,603	393,766
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	-	-	-	(15,632)	(15,632)	3,325	(12,307)
პოლდინგური კომპანიის ჩამოყალიბება (მე-13 შენიშვნა)	105,280	-	(135,000)	29,720	-	-	-
განაწილება მშობელ საწარმოზე (მე-13 შენიშვნა)	-	-	-	(1,990)	(1,990)	-	(1,990)
შვილობილი საწარმოების მიერ არამაკონტროლებელი წილების მფლობელებისთვის გამოცხადებული დივიდენდები (1-ელი შენიშვნა)	-	-	-	-	-	(2,932)	(2,932)
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება (25-ე შენიშვნა)	-	4,445	-	-	4,445	-	4,445
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ საწარმოში (1-ელი შენიშვნა)	-	-	-	-	-	(826)	(826)
31 დეკემბერი, 2024 წ.	105,280	7,971	-	233,735	346,986	33,170	380,156

	მიკუთვნებადი მშობელი საწარმოს მფლობელებისთვის					არამაკონ- ტროლებელი	
	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	შერწყმის რეზერვი	გაუნაწილები ლი მოგება	სულ	წილის მფლობე- ლები	სულ საკუთარი კაპიტალი
1 იანვარი, 2023 წ.							
წლის (ზარალი)/მოგება	-	-	135,000	257,710	392,710	33,346	426,056
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	-	-	-	(36,073)	(36,073)	195	(35,878)
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება (25-ე შენიშვნა)	-	3,546	-	-	3,546	-	3,546
სხვა ცვლილების დინამიკა	-	(20)	-	-	(20)	62	42
31 დეკემბერი, 2023 წ.	-	3,526	135,000	221,637	360,163	33,603	393,766

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა ბი	2024	2023
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		409,257	347,213
გადახდები მომწოდებლებისთვის და გადახდილი პირდაპირი ხელფასები		(277,326)	(277,420)
გადახდები სხვა თანამშრომლებისთვის		(61,976)	(49,762)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		69,955	20,031
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(67,416)	(64,565)
მიღებული პროცენტი		1,431	1,570
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		34,267	21,517
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(31,718)	(41,478)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ საწარმოებში	1	(826)	–
განაწილება მშობელ საწარმოზე	13	(1,990)	–
აღებული სესხები და გამოშვებული ობლიგაციები	14	339,448	229,940
სესხების და გამოშვებული ობლიგაციების დაფარვა	14	(325,212)	(170,984)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა	6	(5,448)	(2,529)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა	6	(913)	(1,598)
გადახდილი პროცენტი	14	(38,285)	(34,224)
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული)/ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(33,226)	20,605
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(498)	(220)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		4,513	(1,062)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	12	34,271	35,333
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12	38,784	34,271

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2024 წლის 17 დეკემბერს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება (რეგისტრაციის ნომერი 405746634). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. 24ა. კომპანია და მისი შვილობილი საწარმოები ქვემოთ ერთად მოიხსენიებიან „ჯგუფად“ ან „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფად“ ან „GHG Newco“-დ. ჯგუფი სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოების ქსელის მეშვეობით. სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (რეგისტრაციის ნომრით 405746634) მიიჩნევა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (რეგისტრაციის ნომრით 405098399) („GHG Oldco“) ჯანდაცვის ბიზნესის გაგრძელებად, წარმოდგენილი საავადმყოფოების, კლინიკებისა და დიაგნოსტიკური სერვისებით, რომელმაც 2024 წლის დეკემბერში რეორგანიზაცია განიცადა და სახელი შეეცვალა სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფით“. რეორგანიზაციის შედეგად კომპანიის საბოლოო მშობელი საწარმო და/ან მისი შვილობილი საწარმოები არ შეცვლილა.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების საბოლოო მშობელი საწარმო იყო ინგლისში, ლონდონში, დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“.

ჯანდაცვის ბიზნესის შვილობილი საწარმოების გადაცემა კომპანიისთვის 2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულდა. რესტრუქტურისაციის ფარგლებში კომპანიას ასევე მიენიჭა წინა ჰოლდინგური კომპანიის – „GHG Oldco“-ს სხვა აქტივები და ვალდებულებები, მათ შორის 36 მილიონი ლარის ნასესხები სახსრების ვალდებულებები, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფსა“ და სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფს“ შორის გაფორმებული გამოყოფის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. რეორგანიზაციის განხორციელებამდე მოპოვებული იქნა სათანადო თანხმობები კრედიტორებისგან, როცა ამას მოითხოვდა ხელშეკრულებები სესხები და ნასესხები სახსრების შესახებ, და მარეგულირებელი ორგანოებისგან.

კომპანიას განზრახული აქვს შიდა ობლიგაციების გამოშვება, რომლებიც დარეგისტრირდება საქართველოს საფონდო ბირჟაზე 2025 წელს. ობლიგაციების პერსპექტიული მფლობელებისა და კაპიტალის ბაზრების მარეგულირებლებისთვის, ასევე ჯანდაცვის ბიზნესის გამოყოფის გზით რეორგანიზაციისა და კომპანიის დაფუძნების ეფექტების ასახვის მიზნით, ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისთვის“ 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

ჯგუფი მოიცავს საქართველოში დაფუძნებულ შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

შვილობილი საწარმოები	წილობრივი მონაწილეობა/ზმის უფლება			საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შექმნის თარიღი	იურიდიული მისამართი
	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იანვ-23				
სს „ვიანი“	100%	100%	-	ჯანდაცვა	30-ნოემბ.-2023	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
შპს „ვიანი“	100%	100%	-	ჯანდაცვა	5-სექტ.-2023	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი“	99.8%	99.8%	99.8%	ჯანდაცვა	12-იანვ.-2012	30-ივნ.-2015	ქავთარაძის ქ. 23, თბილისი
შპს „ვიან-ლოჯისტიკა“	100%	100%	100%	ჯანდაცვა	13-თებ.-2015	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი“	66.7%	66.7%	66.7%	ჯანდაცვა	5-მაის.-2003	29-ნოემბ.-2011	ჯავახიშვილის ქ. 85 ქუთაისი
შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“	66.7%	66.7%	66.7%	ჯანდაცვა	15-ოქტ.-2004	29-ნოემბ.-2011	ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი
შპს „ბონო ჰელსქეარ“	100%	100%	-	ჯანდაცვა	15-ივნ.-2023	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „საქართველოს კლინიკები“****	100%	100%	100%	ჯანდაცვა	1-აგვ.-2014	1-აგვ.-2014	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „ემერჯენსი სერვისი“	85%	85%	85%	ჯანდაცვა	18-ივნ.-2013	1-მარტ.-2015	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „პედიატრი“	100%	100%	100%	ჯანდაცვა	5-სექტ.-2003	6-ივლ.-2016	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი
შპს „ახალი კლინიკა“ *	-	100%	100%	ჯანდაცვა	3-იანვ.-2017	20-ივლ.-2017	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
შპს „საქართველოს კლინიკები“	100%	100%	-	ჯანდაცვა	29-სექტ.-2023	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „ვექსის კლინიკები“ **	-	100%	100%	ჯანდაცვა	1-აპრ.-2019	არა	ა. ბელიაშვილის ქ. 142, თბილისი
სს „ვექსი“	100%	-	-	ჯანდაცვა	11-იანვ.-2024	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
შპს „ალიანს მედი“	-	100%	100%	ჯანდაცვა	7-ივლ.-2015	20-ივლ.-2017	თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. 142
სს „პოლიკლინიკა ვერე“	98.4%	98.4%	98.4%	ჯანდაცვა	22-ნოემბ.-2013	25-დეკ.-2017	თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. 142
შპს „ნიუ დენტ“	75%	75%	75%	ჯანდაცვა	24-დეკ.-2018	არა	თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. 142
შპს „წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო“	66.7%	66.7%	66.7%	ჯანდაცვა	29-სექტ.-1999	29-ნოემბ.-2011	ერისთავის ქ. 16, წყალტუბო
შპს „მკურნალი 2002“	100%	100%	-	ჯანდაცვა	8-აპრ.-2004	1-დეკ.-2023	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა
სს „მეგა-ლაბი“	91.98%	91.98%	91.98%	ჯანდაცვა	6-ივნ.-2017	არა	თბილისი, პ. ქავთარაძის ქ. 23
შპს „პათეჯო“	91.98%	91.98%	91.98%	ჯანდაცვა	13-იანვ.-10	1-აგვ.-2016	თბილისი, მ. მუხიანის II მ/რ, 22/1ა
სს „ვაბაკო“ ****	100%	67%	67%	პროგრამირება	9-სექტ.-2013	28-სექტ.-2018	ბოჭორიშვილის ქ. 37, თბილისი
შპს „ვაბაკო ინტერნეიშენალ“	100%	67%	-	პროგრამირება	30-მარტ.-2023	არა	თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 123
სს „ექიმო“	100%	67%	67%	პროგრამირება	14-დეკ.-2021	არა	თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 123
შპს „ექიმო აპი“	100%	-	-	პროგრამირება	5-დეკ.-2023	არა	თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 24
შპს „აიტივაი“	100%	100%	-	სხვა	1-თებ.-2023	არა	თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. 142
შპს „დარტი“	-	100%	100%	სხვა	14-ივნ.-2021	არა	თბილისი, მ. შავიშვილის ქ. 25

მეკავშირე საწარმოები	წილობრივი მონაწილეობა/ზმის უფლება			საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შექმნის თარიღი	იურიდიული მისამართი
	31-დეკ-24	31-დეკ-23	1-იანვ-23				
შპს „კომპლექს-მედ-სერვისი“	-	20%	20%	ჯანდაცვა	18-ნოემბ.-2008	30-ივლ.-2021	თბილისი, წინანდლის ქ. 9
სს „დიფლექსი“	40%	40%	40%	სხვა	29-დეკ.-2016	12-ნოემბ.-2021	თბილისი, ჯონ (მალხაზ) შალივაშვილის ქ. 8

* 2024 წლის აგვისტოში შპს „ახალი კლინიკა“, შპს „ალიანს მედი“ ოფიციალურად შეერწყნენ სს „საქართველოს კლინიკებს“.

** 2024 წლის იანვარში სს „ვექსის კლინიკების“ რესტრუქტურული ზავი მოხდა და ის ორ მკავშირე სუბიექტად გაიყო: პოლიკლინიკები და საერთო პროფილის საავადმყოფოები საერთო პროფილის საავადმყოფოების სუბიექტი შეერწყა სს „საქართველოს კლინიკებს“, ხოლო პოლიკლინიკების სუბიექტმა გააგრძელა ფუნქციონირება, როგორც იურიდიულმა პირმა სს „ვექსმა“.

*** 2023 წელს სს „ვექსი“ კოსპიტლებს სახელი შეეცვალა და ეწოდა სს „საქართველოს კლინიკები“

**** 2024 წელს კომპანიამ შეიძინა 33% თავის შვილობილ საწარმოში 826 ლარის ფულადი საზღაურის სანაცვლოდ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

ჯგუფი ასევე მონაწილეობდა შემდეგ არაკომერციულ ორგანიზაციებში საქართველოში.

არაკომერციული ორგანიზაციები	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	იურიდიული მისამართი
ა(ა)იპ „სისხლის ცენტრი“	ჯანდაცვა	23-დეკ-2021	ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი
ა(ა)იპ „ევექსის სასწავლო ცენტრი“	სხვა	20-დეკ-2013	ჯავახიშვილის ქ. 83ა, თბილისი
ა(ა)იპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „მეგალაბი“	სხვა	25-მაისი-2021	თბილისი, პ. ქავთარაძის ქ. 23
ა(ა)იპ „ჯანდაცვის ასოციაცია“	ჯანდაცვა	25-მარტ-2016	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 278 კორპ. N10, N138, 1-2 სართული, ნუშის ბაღების
ააიპ „საქართველოს სამედიცინო ტურიზმის საბჭო“	ჯანდაცვა	16-მაისი-2019	ქუჩა N1, წყნეთი, ვაკის რაიონი, თბილისი

შემოსულობა სამეურნეო ერთეულების გაყიდვიდან

2023 წლის დეკემბერში ჯგუფმა გაყიდა ბათუმში მდებარე თავისი ერთ-ერთი საავადმყოფო („ბათუმის ჰოსპიტალი“), რომელიც წარმოადგენდა ჯგუფის სამეურნეო ერთეულს, და არა ცალკე იურიდიულ პირს, და აკმაყოფილებდა საწარმოს განმარტებას ფასს 3-ის „საწარმოთა გაერთიანება“ განმარტების თანახმად, 30,560 ლარად და აღიარა 4,506 ლარის შესაბამისი შემოსულობა სამეურნეო ერთეულის გაყიდვიდან. ქვემოთ წარმოდგენილია გასხვისებული სამეურნეო ერთეულის აქტივების მთავარი კატეგორიები:

ძირითადი საშუალებები	25,923
მარაგები	131
გასხვისებული წმინდა აქტივები	26,054

არსებითი წილები შვილობილი საწარმოების საკუთრებაში

კომპანიას ჰყავს ერთადერთი არსებითი შვილობილი საწარმო, რომელსაც არამაკონტროლებელი წილი აქვს.

არამაკონტროლებელი წილის მფლობელების წილობრივი მონაწილეობა (%)	წლის განმავლობაში არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე განაწილებული მოგება			
	2024	2023	2024	2023
შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“	33.3%	33.3%	2,685	2,248

2024 წელს ჯგუფმა გამოაცხადა 2,932 ლარის დივიდენდები შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრის“ არამაკონტროლებელი წილების მფლობელებისთვის, რომლებიც 2025 წლის 15 მაისისთვის უნდა გადაიხადოს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2,932 ლარის გადასახდელი დივიდენდები აისახა სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში.

ქვემოთ მოცემულია ამ შვილობილი საწარმოების შეჯამებული ფინანსური ინფორმაცია. ეს ინფორმაცია ეყრდნობა თანხებს შიდაჯგუფურ გაქვითვებამდე.

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“			
გრძელვადიანი აქტივები	70,903	64,809	51,307
მოკლევადიანი აქტივები	35,768	30,429	36,771
სულ აქტივები	106,671	95,238	88,078
მოკლევადიანი ვალდებულებები	20,828	7,888	7,150
სულ ვალდებულებები	20,828	7,888	7,150
საკუთარი კაპიტალი	85,843	87,350	80,928

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)**არსებითი არამაკონტროლებელი წილები შვილობილ საწარმოებში (გაგრძელება)**

შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“	2024	2023
ამონაგები	45,677	42,361
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(32,383)	(27,989)
სხვა ხარჯები	(8,874)	(10,761)
საპროცენტო შემოსავალი	3,644	3,141
სულ წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი	8,064	6,752

შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	5,678	5,265
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(4,034)	(6,079)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	–	–
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	1,644	(814)

2. მომზადების საფუძველი**შესაბამისობის დეკლარაცია**

წინამდებარე კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ცალკე გამოყოფის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (სარეგისტრაციო ნომერი 405098399) და მისი შვილობილი საწარმოების („GHG Oldco“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, ისე, თითქოს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ დაფუძნებულია და „GHG Oldco ჯგუფის“ რეორგანიზაცია ძალაში შესულია 2023 წლის 1 იანვრიდან და იმ დაშვებით, რომ სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ ფასს-ზე გადასვლის თარიღი იგივეა, რაც „GHG Oldco ჯგუფის“ ფასს-ზე გადასვლის საწყისი თარიღი. „GHG Oldco“-ს შვილობილი საწარმოების აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში (ერთობლივად იწოდება, როგორც „ჯგუფი“), აღიარებულია ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში საბალანსო ღირებულებებით ისევე, როგორც წარმოდგენილია „GHG Oldco ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, როდესაც ისინი საერთო კონტროლს ექვემდებარებოდნენ, და ხდება მათი განაწილების გარკვეული კორექტირებები, რომლებიც აღწერილია ქვემოთ:

ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოხდა GHG Oldco-ს კონსოლიდირებული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლის, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების შემდეგი კორექტირებები და განაწილებები:

- 1) ფულადი სახსრებისა და ნასესხები სახსრების ნაშთები, რომლებიც მიკუთვნება „GHG Oldco“-ს ჰოლდინგური კომპანიისთვის (მათ გარდა, რომლებიც მიკუთვნება ცალკეული შვილობილი საწარმოსთვის) განაწილდა „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფზე“ და აღიარებული იქნა ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში ბიზნესის გაყოფის შესახებ ხელშეკრულების პირობების თანახმად (სადაც ასეთი განაწილება ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული), შესაბამისად უკუსვლით იქნა გადათვლილი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრისთვის, 2024 წლისა და 2023 წლის უცხოური ვალუტის, ფინანსური შემოსავლისა და ხარჯის შესაბამის ნაწილთან ერთად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ცალკე გამოყოფის საფუძველი (გაგრძელება)

- 2) ადმინისტრაციული, სახელფასო და სხვა საოპერაციო ხარჯები (მათ შორის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ხარჯები), რომლებიც მიკუთვნებადი იყო ჰოლდინგური კომპანიისთვის 2024 და 2023 წლებში, მეტწილად აღიარებული იყო ამ კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში ან კონკრეტულად ყოველი ხარჯის მუხლისთვის, რომელიც სრულად გასწია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა“ (როგორცაა „GHG Old co“-ს მიერ გადახდილი მომსახურების ხარჯები, რომლებიც ბიზნესის გამოყოფისას დაიფარება „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მიერ ან ხარჯები, რომლებიც უკავშირდება აქციებზე დაფუძნებულ გადახდებს „GHG Oldco“-ს თანამშრომლებისთვის, რომლებიც „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“ გადაეცა) ან როდესაც ასეთი კონკრეტული განაწილება არ იყო ხელმისაწვდომი ან პრაქტიკული – „GHG Oldco“-ს ერთიან ბიზნესთან შედარებით, ფარდობითი ფინანსური შედეგების ან „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დასაქმებულთა რაოდენობის პროპორციულად.

სხვაობა ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის, რომელიც ზემოაღნიშნული წესით განისაზღვრა, წარმოდგენილია, როგორც საკუთარი კაპიტალი კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. „GHG Newco“-ს დაფუძნებამდე ჯგუფმა აღიარა შესაბამისი შერწყმის რეზერვი კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წელს ჯგუფმა განიცადა 12,307 ლარის წმინდა ზარალი 2023 წლის 35,878 ლარის მაჩვენებელთან შედარებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს აღემატებოდა 113,973 ლარით (2023 წლის 31 დეკემბერი: 149,705 ლარი), ძირითადად უცხოური და ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან 107,702 ლარის აგრეგირებული საბალანსო ღირებულების მქონე ჯგუფის ნასესხები სახსრების ფინანსური პირობების დარღვევის გამო, რომლებისთვისაც 2025 წლის თებერვალში მოპოვებული იქნა ნებართვის წერილები (მე-14 შენიშვნა). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლიკვიდურობის გეგმა მეტწილად მიკუთვნებადი დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების სეგმენტისთვის. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ნასესხები სახსრები 59,714 ლარით გაიზარდა (მე-14 შენიშვნა), 2023 წლის 31 დეკემბერთან შედარებით. ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადა 2024 წელს ამოიწურა და განახლდა ადგილობრივი ბანკებისგან მოპოვებული ლარში გამოხატული ნასესხები სახსრებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები გაუტოლდა 47,504 ლარს (მე-15 შენიშვნა).

„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა“ მშობელი საწარმოსგან მიიღო წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მშობელ საწარმოს განზრახული აქვს ჯგუფისთვის საკმარისი სახსრების მიწოდება, რათა ჯგუფს საშუალება მისცეს, გააგრძელოს ჩვეულებრივი საქმიანობა ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ხელმძღვანელობის შეფასებით, მშობელ საწარმოს საკმარისი სახსრები აქვს, რომ ჯგუფს, საჭიროების შემთხვევაში, აღმოუჩინოს ფინანსური მხარდაჭერა.

2025 წელს ჯგუფმა დაიწყო ობლიგაციების გამოშვების პროცესი და ამ მიზნით უკვე დაიქირავა განთავსების აგენტები. 2025 წლის ივლისისთვის იგეგმება ხუთწლიანი 350 მილიონი ლარის სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება. ჯგუფი წინასწარ მოლაპარაკებებს აწარმოებს ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებებთან შეთავაზებაში მონაწილეობის თაობაზე და რამდენიმე უკვე პირველადი დამტკიცების ეტაპზეა. ობლიგაციების წარმატებით გამოშვება, როგორც მოსალოდნელია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჯგუფის ლიკვიდურობის პოზიციას.

ჯგუფის ზემოთ აღწერილი ქმედებებისა და გეგმების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე მიზანშეწონილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს ან აქვს უფლება მიიღოს, ცვლადი უკუგება ინვესტირებული საწარმოსგან და აქვს უნარი, გავლენა მოახდინოს უკუგებაზე ინვესტირებულ საწარმოზე ზემოქმედებით. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტირებული საწარმოს რელევანტური საქმიანობა),
- ▶ ჯგუფი იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტირებულ საწარმოში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება, და
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტირებულ საწარმოზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტირებულ საწარმოში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტირებულ საწარმოზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა რელევანტურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგებები,
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტირებულ საწარმოს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის აქციონერებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არამაკონტროლებელი წილის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად ელიმინირდება.

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შეძენის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შემდეგი კომპონენტების დაჯგუფებით: შესყიდვის დღეს სამართლიანი ღირებულებით გადახდილი საფასური და შეძენილი კომპანიის ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, ჯგუფი შეძენილი კომპანიის არამაკონტროლებელ წილს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ან იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად, ხოლო არამაკონტროლებელი წილის სხვა კომპონენტებს – მათი შეძენის თარიღისთვის არსებული სამართლიანი ღირებულებით. შესყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

გუდვილის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, და უდრის იმ თანხას, რომლითაც გადაცემული საზღაურისა და არამაკონტროლებელი წილებისთვის აღიარებული თანხების, ასევე ყოველგვარი მანამდე ფლობილი წილის აგრეგირებული ოდენობა აღემატება წმინდა იდენტიფიცირებად შემენილ აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებს. თუ შემენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ანაზღაურებაზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შემენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შემენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ საზღაურს, მაშინ ხდება შემოსულობის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ჯგუფი იძენს ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შემენის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების, ეკონომიკური გარემოებებისა და რელევანტური პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შემენილი საწარმოს მიერ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ძირითად ხელშეკრულებებში.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას მყიდველი საწარმოს მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შემენის თარიღისათვის პირობითი ანაზღაურება, კლასიფიცირებული აქტივად ან ვალდებულებად, რომელიც წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და, ფასს 9-ის მიხედვით, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში თუ პირობითი ანაზღაურება არ შეესაბამება ფასს 9-ს, იგი ფასდება შესაბამისი ფასს-ის მიხედვით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ჯანდაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურების ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში. სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნების დაფარვის ვადას წარმოადგენს 30 დღე ანგარიშგაქტურების დამტკიცების მომენტიდან. საქართველოს კანონმდებლობით, ანგარიშგაქტურის გადახედვისა და დამტკიცების პროცესს დაახლოებით 60 სამუშაო დღე სჭირდება. გადახდის ვადებზე მოლაპარაკება მხარეებთან, სახელმწიფოს გარდა, ცალ-ცალკე ხდება და 30-180 კალენდარულ დღეს შეადგენს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**ფინანსური აქტივები**

ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად ან როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, რომელიც უფრო მართებულია. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. თავისი ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას მათი კლასიფიკაციის განსაზღვრისას ჯგუფი მხედველობაში იღებს იმ პორტფელის ბიზნესმოდელს, რომლის ფარგლებშიც იმართება შეძენილი აქტივები და აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს. ჯგუფის ფინანსური აქტივების უმეტესობა ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა*ნასესხები სახსრები*

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება დაიფარება, გაბათილდება ან ვადა გაუვა და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების შემდეგი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	წლები
საავადმყოფოები და კლინიკები	60-მდე
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	10-მდე
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
სამედიცინო აღჭურვილობა	5-15
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. საიჯარო ქონების გაუმჯობესების ცვეთა ხდება ათი წლის განმავლობაში ან შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა.

მარაგები

მარაგები მოიცავს სამედიცინო და არასამედიცინო მარაგებს და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. საწყისი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ძირითადად მოიცავს კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და JCI აკრედიტაციის მოსაპოვებლად კაპიტალიზებულ დანახარჯებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ოთხიდან ათ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯების (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარება არამატერიალურ აქტივად მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ჯგუფს აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, აგრეთვე აქტივს შეეძლოს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით, ასევე უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიღება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ოპერაციები

ჯგუფის წამყვანი ხელმძღვანელობა იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რა შემთხვევაშიც თანამშრომლები მომსახურებას სწევენ საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის მიერ გამოცხადებული აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების სქემა წარმოდგენილია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით გადახდის გარიგებებით.

ჯგუფის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობამ შეიძლება მიიღოს აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება ჯგუფის საბოლოო მშობელი საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების სახით. აქციების გამოყოფა ხდება მშობელი საწარმოს მიერ. გამოყოფილი აქციები, რომელთა დაფარვის ვალდებულება ჯგუფს არ აქვს, აღირიცხება, როგორც ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით (მაშინაც კი, თუ ჯგუფმა შეიძლება გამოყოფილ წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული დანახარჯი დაუკომპენსიროს ანაზღაურების დამფარავ სუბიექტს, რომლის აღიარებაც ხდება გადახდის შესაბამისი თარიღისთვის კაპიტალიდან გამოქვითვის სახით). გრანტები, რომლებიც გაცემულია ჯგუფის შვილობილი საწარმოების მიერ და დაფარულია შვილობილი საწარმოების აქციებით, აღირიცხება, როგორც ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, ვინაიდან ჯგუფს განზრახული აქვს ნაღდი ფულით გამოისყიდოს ეს აქციები.

მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები, რომლებიც ასევე არიან ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრები, იღებენ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოებს საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ აქციების სახით, რომელთა ანგარიშსწორება ხდება ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ და ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება, როგორც ჯილდოები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით. ჯგუფი თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს თავის პროპორციულ წილს მთლიან აქციებზე დაფუძნებულ დანარიცხებში შესაბამისი დასაქმებულებისთვის

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ოპერაციები (გაგრძელება)

ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

დასაქმებულებთან წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით განხორციელებული ოპერაციების ხარჯი ფასდება ოპერაციის თარიღისთვის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, დამატებით შეტანილი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის დასაქმებულებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების მთლიანი ხარჯი ასახავს უფლების გადაცემის პერიოდის გასვლას და ჯგუფის შეფასებით წილობრივი ინსტრუმენტების იმ რაოდენობას, რა რაოდენობაზეც საბოლოოდ გადაიცემა უფლება. კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის დანარიცხი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული მთლიანი ხარჯების ცვლილების დინამიკას.

ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით

თანამშრომლებთან ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით განხორციელებული ოპერაციების ხარჯი ფასდება ოპერაციის დღეს გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ოპერაციების ღირებულების აღიარება, დასაქმებულთა კომპენსაციის დარიცხვების შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით აღიარებული ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით განხორციელებული ოპერაციების მთლიანი ხარჯი ასახავს უფლების გადაცემის პერიოდის გასვლას და ჯგუფის შეფასებით წილობრივი ინსტრუმენტების იმ რაოდენობას, რა რაოდენობაზეც საბოლოოდ გადაიცემა უფლება. კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის დანარიცხი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული მთლიანი ხარჯების მოძრაობას.

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსულობიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

შერწყმის რეზერვი

ამ კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის ჯგუფი შერწყმის რეზერვს წარმოადგენს, როგორც დამაბალანსებელ საკუთარი კაპიტალის კომპონენტს 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შერწყმის რეზერვი ელიმინირდა და ჩანაცვლდა სააქციო კაპიტალით სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დაფუძნებისთანავე.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

ჯგუფის მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფისგან მიღებულ სარგებელს.

ჯანდაცვის მომსახურებიდან ამონაგები მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ▶ ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სახელმწიფოსგან – ჯგუფი სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების/მიწოდების ეტაპისა და კონტრაქტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- ▶ ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სადაზღვევო კომპანიებისგან – ჯგუფი სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების/მიწოდების ეტაპისა და კონტრაქტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- ▶ ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები – ჯგუფი თანაგადახდიდან მიღებულ და სხვა ამონაგებს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების/მიწოდების ეტაპისა და ჯგუფის მიერ დამტკიცებული ფასების შესაბამისად. გაყიდვებიდან შემოსავალი მიიღება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით. სამედიცინო მომსახურებიდან სხვა ამონაგები მოიცავს ამონაგებს მუნიციპალიტეტებიდან და სხვა საავადმყოფოებიდან, რომლებთანაც ჯგუფს სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაიწია მომსახურება და იანგარიშება სახელშეკრულებო ტარიფების მიხედვით.

ამონაგები წარმოდგენილია კორექტირებების და ფასდაკლებების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც კონტრაქტებთან (ძირითადად, სახელმწიფოსთან) დეტალური ანგარიშგების შეჯერების შედეგად წარმოიშობა. ანგარიშგაქტურების მოსალოდნელი კორექტირებები ფასდება ხელშეკრულების დასაწყისშივე. პოტენციური მომავალი კორექტირებებისა და ფასდაკლებების შეფასება ხდება სტატისტიკურად საშუალო კორექტირების განაკვეთის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება იმ ანგარიშგაქტურების მთლიანი ოდენობების მიმართ, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დამტკიცებული სახელმწიფოს მიერ. ჯგუფის მთლიანი ამონაგები (კორექტირებებისა და ფასდაკლებების გამოკვეთვამდე) ეყრდნობა ოფიციალურ ანგარიშგაქტურებს, რომლებიც წარდგენილია მომხმარებლებისთვის და ოფიციალურად მიღებულია მათ მიერ (სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიები, პროვაიდერი კლინიკები და ფიზიკური პირები), და დანარიცხებს გაწეულ მომსახურებაზე, რომლებისთვისაც ანგარიშგაქტურები ჯერ არ გამოწერილა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან ამონაგებთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

ამონაგები პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებიდან

ჯგუფი პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებას სწევს, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის სისტემისა და აპლიკაციის შექმნას და ასევე პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და ტექნიკურ მომსახურებას. ჯგუფი პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებიდან ამონაგებს აღიარებს დროთა განმავლობაში, რადგან მომხმარებელი ერთდროულად მიიღებს და მოიხმარს მისთვის გადაცემულ სარგებელს. ამონაგები პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებიდან ირიცხება და მასზე ანგარიშფაქტურები გამოიწერება ყოველთვიურად ან წინასწარ შეთანხმებული ფიქსირებული გადასახადის საფუძველზე, ან შესაბამისი მომსახურების გაწევაში ჩართული პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერების მიერ ნამუშევარი საათების პროპორციულად.

ამონაგები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან

ჯგუფს აქვს საგანმანათლებლო პროგრამები სხვადასხვა უნივერსიტეტისთვის, რომლებიც მოიცავს ადგილზე ჯანდაცვის განათლების მიცემას სტუდენტებისთვის. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან დროთა განმავლობაში, რადგან მომხმარებლები პარალელურად იღებენ და მოიხმარენ მათთვის მიწოდებულ სხვადასხვა სარგებელს. უნივერსიტეტები იხდიან ყოველთვიურ გადასახადს უნივერსიტეტების შესაბამის პროგრამებში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. ამონაგები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან აღიარდება თანდათანობით, შემოთავაზებული პროგრამის აკადემიური პერიოდის განმავლობაში, გასული დროის მიხედვით.

ამონაგები სარეზიდენტო პროგრამებიდან

ჯგუფი, საქართველოში არსებული სამედიცინო დაწესებულებათაგან უმრავლესობის მსგავსად, მონაწილეობს სარეზიდენტო პროგრამებში, რომლის ფარგლებშიც სამედიცინო უნივერსიტეტის ბაკალავრიატები გადიან ადგილზე სწავლებას და პრაქტიკას (ე.წ. რეზიდენტურა) სანამ მიიღებენ ექიმის დიპლომს და საჭირო აკრედიტაციას. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან დროთა განმავლობაში, რადგან მომხმარებლები პარალელურად იღებენ და მოიხმარენ მათთვის მიწოდებულ სხვადასხვა სარგებელს. ამონაგები სარეზიდენტო პროგრამიდან ყოველთვიურად ირიცხება ბაკალავრების რაოდენობისა და პროგრამაში მონაწილე ყოველი უნივერსიტეტის გადასახადის მიხედვით. ამონაგები სარეზიდენტო პროგრამიდან აღიარდება თანდათანობით, შემოთავაზებული პროგრამის აკადემიური პერიოდის განმავლობაში, გასული დროის მიხედვით.

შემოსავალი საკანცელარიო საქონლის და მედიკამენტების გაყიდვიდან

ჯგუფი დროდადრო ყიდის საკანცელარიო და სამედიცინო მარაგებს, რაც არ შეადგენს მის ძირითად საქმიანობას და, შესაბამისად, ასეთი ერთეულების გაყიდვიდან ამონაგები წარმოდგენილია მათთან დაკავშირებული დანახარჯების გარეშე და ასახულია სხვა საოპერაციო შემოსავალში. საკანცელარიო საქონლისა და მედიკამენტების გაყიდვიდან შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, ჯგუფის ადგილმდებარეობაზე. კრედიტის ვადა, როგორც წესი, საქონლის მიწოდებიდან 180 დღემდეა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)***საპროცენტო შემოსავალი*

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში აისახება ფინანსური შემოსავლის ნაწილში.

EBITDA

კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჯგუფი ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე. შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადი, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) განისაზღვრება, როგორც ჯგუფის დასაბეგრი მოგების ხარჯი, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, ზარალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციებიდან, ზარალი მარაგების ჩამოწერიდან და ვადაგასული ან შეწყვეტილი ოპერაციებიდან, გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ჯანდაცვის და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, ინდივიდუალურად შეფასებული ხარჯები და სასამართლო დავებთან დაკავშირებული ხარჯები, შემოსულობა სამეურნეო ერთეულების გაყიდვიდან და წმინდა არარეგულარული შემოსავალი და ხარჯები.

წმინდა არარეგულარული შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. ჯგუფი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ჯგუფის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

უცხოური ვალუტის გადაყვანა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტა და კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტაა. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იყო 2.8068, 2.6894 და 2,7020 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით, შესაბამისად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, ჯგუფს ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ აქტივზე, 12-თვიანი პერიოდისთვის ან მათი არსებობის მთლიანი ვადისთვის. ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას და აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს ყველა მოთხოვნაზე აღრიცხავს. გაუფასურების ახალი მეთოდოლოგიის მიღებამ ძირითადად იმოქმედა შემდეგ ანგარიშზე: ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების რეზერვზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)***ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ*

აღნიშნული ფინანსური აქტივების მოკლევადიანი და ლიკვიდური ბუნებიდან გამომდინარე, ჯგუფმა შეაფასა და არაარსებითად მიიჩნია შესაბამისი საკრედიტო ზარალი. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ნაწილში გაუფასურება არ აღიარებულა ფასს 9-ის შესაბამისად.

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ფასს 9-ის შესაბამისად გამარტივებული გაუფასურების მიდგომის გამოყენებისას, ჯგუფმა გამოიყენა შეფასების ოთხი სხვადასხვა მეთოდი მოთხოვნების ტიპის მიხედვით:

1. სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნების ინდივიდუალური შეფასება,
2. ინდივიდუალური შეფასება ყველა სხვა არსებითი მოთხოვნისთვის (რომელთა ნაშთი 250 ათას ლარს აღემატება),
3. ყველა სხვა მოთხოვნების ერთობლივი (კოლექტიური) შეფასება. საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე მოთხოვნები ერთიანდება სხვადასხვა პორტფელში კოლექტიური შეფასების მიზნით. ჯგუფმა გამოავლინა პორტფელების შემდეგი ძირითადი ტიპები (რომელთა ნაშთი 250 ათას ლარზე ნაკლებია): ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (ძირითადად ფიზიკური პირების მიმართ მოთხოვნები), იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები.

მთავრობის მიმართ მოთხოვნები

რეფერალური ჰოსპიტლები და კლინიკები მონაწილეობენ საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში - „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“. შედეგად, ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილის (დაახლოებით 65%) გადახდაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა და მუნიციპალური ორგანოები. მთავრობის მიმართ მოთხოვნებს აქვთ უნიკალური საკრედიტო მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო მახასიათებლებისგან, რომლებსაც ჯგუფი დღესდღეობით ფლობს. აღნიშნული ფაქტისა და შესაბამისი ნაშთის არსებობის გათვალისწინებით, ჯგუფმა დაასკვნა, რომ მთავრობის მიმართ მოთხოვნების გაუფასურების საკითხი განხილულ უნდა იქნას ინდივიდუალურად, ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისგან დამოუკიდებლად.

ჯგუფი იყენებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ საკრედიტო რეიტინგებს, როგორიცაა „Standard & Poor“ ან „Moody“, სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის შეფასების მიზნით. მსგავსად აღნიშნულისა, ამავე საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების თანახმად საქართველოსთვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგის შესაბამის კატეგორიაში დეფოლტის ალბათობა გამოიყენება, როგორც გონივრული ვარაუდი მთავრობის მიმართ მოთხოვნების დეფოლტის ალბათობასთან დაკავშირებით. მთავრობის მიმართ მოთხოვნების დეფოლტის ალბათობა განისაზღვრა ქვეყნის რისკის რეიტინგის საფუძველზე. ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის თავიდან გადააფასებს გაუფასურების გამოთვლებში გამოყენებული დეფოლტის ალბათობის განაკვეთს.

ვინაიდან ჯგუფს არ აქვს საკუთარი დეფოლტისა და საკრედიტო ზარალის სტატისტიკა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს ანალოგიური კომპანიების საბაზრო მონაცემებს დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შესახებ, რომლებსაც იღებს აღიარებული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშებიდან. მიღებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ჩვეულებრივ არაარსებითია საკრედიტო ხარისხისა და ჯგუფის იმ სავალო ინსტრუმენტების ვადების გათვალისწინებით, რომლებიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოთხოვნებს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)***ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორები*

იმ დებიტორების შემთხვევაში, რომელთა მიმართ მოთხოვნების ნაშთი 250 ათას ლარს აღემატება, ჯგუფი თითოეულ შემთხვევას ინდივიდუალურად განიხილავს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს. აღნიშნული პროცესი ორი ძირითადი ეტაპისგან შედგება:

- 1) კონტრაქტის ფინანსური მდგომარეობა ფასდება შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით: ა) ფინანსური შედეგები და თანაფარდობა (სადაც შესაძლებელია); ბ) ჯგუფისთვის მოთხოვნების დაფარვის ვადაგადაცილების დღეების საშუალო რაოდენობა; და გ) ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა არაფინანსური ინფორმაცია, როგორიცაა ნებისმიერი სიახლე იმ საბაზრო სექტორთან დაკავშირებით, რომელშიც მოქმედებს კონკრეტული დებიტორი, ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ და ა. შ.
- 2) აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ჯგუფის ხელმძღვანელობა ახდენს კონტრაქტის კატეგორიზაციას საკრედიტო რისკის შეფასების მიზნით და გადააყვას კოლექტიურ შეფასებაზე. თითოეულ საკრედიტო კატეგორიას მინიჭებული აქვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება გამოცდილების, ხელმძღვანელობის პროფესიული განსჯისა და სამომავლო მოლოდინების საფუძველზე. შეფასება ხორციელდება კვარტალურად. პროცესში ასევე ხორციელდება მაკრო-კორექტირებები რეგრესიის შედეგებსა და მშპ-ის ზრდაზე დამოკიდებულების ფაქტორის შესაბამისად. ამ მოდელში ფინანსური კოეფიციენტების განახლება ხდება ყოველწლიურად, მას შემდეგ, რაც/თუ გამოქვეყნდება კონტრაქტის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, ხოლო ვადაგადაცილების დღეების საშუალო რაოდენობა, არაფინანსური ინფორმაცია და სამომავლო მოლოდინები გადაიხედება ყოველთვიურად.

კოლექტიური შეფასება

ფასს 9-ის შესაბამისად სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა მსხვილი კონტრაქტების მიმართ მოთხოვნების გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, მოვალეების პორტფელები გადანაწილებულია სხვადასხვა რისკების კალათებში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის საფუძველზე. ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენისთვის 180-დღიანი გამიჯვნის ვადის დაწესებით, ჯგუფმა მხედველობაში მიიღო სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა მსხვილი კონტრაქტების რეალური გადახდების ისტორია. სამიდან ექვს თვემდე ვადაგადაცილება საკმაოდ ხშირი იყო კრედიტუნარიანი კონტრაქტების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეზე მეტი ვადით ვადაგადაცილება გადახდების ისტორიაში უკვე ფინანსურ პრობლემებზე მიუთითებდა. სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობოდა ჯგუფის შიდა მონაცემებს. შეიქმნა ხუთი ცალკეული რისკების კალათა:

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	კატეგორია	აღწერა
0-30	AA	ძალიან კარგი
31-60	A	კარგი
61-90	B	ნორმალური
91-180	C	ცუდი
181+	D	ვალდებულების შეუსრულებლობა

რაც შეეხება ფიზიკური პირებისა და სხვა მცირე კონტრაქტების მიმართ მოთხოვნების გაუფასურების კოლექტიურ შეფასებას, ჯგუფს აქვს ხუთი ცალკეული რისკების კალათა:

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	კატეგორია	აღწერა
0-29	A	კარგი
30-59	B	ნორმალური
60-89	C	ცუდი
90+	D	ვალდებულების შეუსრულებლობა

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

კოლექტიური შეფასება (გაგრძელება)

ფასს 9 საწარმოს უფლებას აძლევს, მოსალოდნელი ზარალის გამოთვლისას გამოიყენოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა – „ანარიცხების (რეზერვების) მატრიცები“ (მაგ. მოთხოვნებისთვის), თუ იგი შეესაბამება მოსალოდნელი ზარალის შეფასების ზოგად პრინციპებს. თუმცა, ფასს 9 ასევე მოითხოვს საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენებას საწარმოს გაუფასურების აღიარების სქემაში.

ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება გამოიყენოს ეს ვარიანტი - ანარიცხების მატრიცები - გაუფასურების კოლექტიური შეფასების შემთხვევაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფმა გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოთხოვნებისთვის და პირდაპირ განიხილავს ზარალს აქტივის არსებობის მანძილზე მთელი პორტფელისთვის, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აქტივის არსებობის მანძილზე აღიარებული იქნება მთლიან პორტფელზე, იმისდა მიუხედავად, საწყისი აღიარების შემდეგ მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. კატეგორიების მიხედვით ვალდებულებების ალბათობის განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა მიგრაციის მატრიცა. ვალდებულებების შეუსრულებლობის მომენტისთვის კრედიტის ოდენობა განისაზღვრა, როგორც დებიტორის კრედიტის ოდენობის გადასახდელი ნაშთი.

საპროგნოზო კომპონენტი

ანალიზში ჯგუფმა ასევე ჩართო მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაცია, რათა განესაზღვრა დაკორექტირებული დეფოლტის ალბათობა კატეგორიების მიხედვით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჯანდაცვის მომსახურების ბიზნესებში მოვალეები ძირითადად წარმოადგენენ ფიზიკურ პირებს ან მცირე საწარმოებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ჯგუფს მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლების გამოყენება მართებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით მცირე მოვალეების მოსალოდნელი ეფექტიანობის შეფასებისას. თავად რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი შეფასდა, როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებელი შემდეგი ორი არგუმენტის საფუძველზე:

- 1) მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ეკონომიკის ეფექტიანობის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მოქალაქეებისა და მცირე საწარმოების ფაქტობრივ კეთილდღეობასთან; და
- 2) მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ადვილად მოსაპოვებელი მონაცემია; მასთან დაკავშირებით არსებობს როგორც თანმიმდევრული ისტორიული ჩანაწერები, ისე სახელმწიფოს პროგნოზები მომდევნო წლებისთვის, რაც იძლევა ამ მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირებაში. ჯგუფმა შეაფასა ბოლო ორი წლის მშპ-ის ზრდის ტემპის რეგრესიის კოეფიციენტი გაუფასურების განაკვეთებთან მიმართებით (იგივეა, რაც დეფოლტის ალბათობა, დეფოლტის შემთხვევაში 100%-იანი დანაკარგების დაშვებით) და დაადგინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულების კოეფიციენტი.

ჩამოწერის პოლიტიკა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ მათი ამოღების გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს. ეს მაჩვენებლებია კონტრაქტის გაკოტრება, სასამართლო გადაწყვეტილება ან ორ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილება. ჯგუფი აგრძელებს ნებისმიერი მოთხოვნების ამოღებას, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით არ არის მიჩნეული უიმედოდ, მიუხედავად ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობისა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გამო საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს არ შეუძლია მოთხოვნების ამოღება, თუ გასულია სამი წელი კონტრაქტისთვის გაგზავნილი ბოლო წერილობითი შეხსენების თარიღიდან. ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც გადის მათი ხანდაზმულობის ვადა. ასეთი ჩამოწერების აღიარება ხდება სხვა საოპერაციო შემოსავალში.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები – ჯგუფი, როგორც მოიჯარე

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივების გამოყენების უფლება კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითად საშუალებებში. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება ოფისებისა და კლინიკების შენობების იჯარის ვადასა ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლესი ვადის განმავლობაში.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი სასწრაფო დახმარების მანქანების მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა, მაქსიმუმ, 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის უფლებას). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონედ (ანუ 5,000 აშშ დოლარზე ნაკლები) მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური გარანტიები

ჯგუფი აფორმებს ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს თავის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ფასდება ხელშეკრულებით შეფასებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და, საჭიროების შემთხვევაში, დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებულ, თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმეტესით.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ჯგუფი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“, რითაც დააკონკრეტა, როგორ უნდა შეაფასოს საწარმომ, არის თუ არა ვალუტა ურთიერთგაცვლადი და როგორ უნდა განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც ურთიერთგაცვლა შეუძლებელია. ცვლილებები ასევე მოითხოვს იმ ინფორმაციის გამჟღავნებას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ როგორ მოქმედებს ან სავარაუდოდ როგორ იმოქმედებს ვალუტა, რომელიც არ არის ურთიერთგაცვლადი სხვა ვალუტაში, საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

ცვლილებები ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მაგრამ სავალდებულოა ინფორმაციის გამჟღავნება. ცვლილებების გამოყენებისას საწარმოს არ შეუძლია შესადარისი ინფორმაციის გადანგარიშება.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად. გარდა ამისა, ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები. ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

ჯგუფი ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 19, რომელიც შესაბამის საწარმოებს უფლებას აძლევს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული შეზღუდული მოთხოვნები ფასს-ის სხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების პარალელურად. უფლების მისაღებად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს 10-ის განმარტების შესაბამისად, არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდეს მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯარო გამოყენებისთვის ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც აკმაყოფილებს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს.

ფასს 19 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის. ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ჯგუფი ობლიგაციების გამოშვებას 2025 წლის ივლისში აპირებს, ფასს 19 მასზე არ ვრცელდება.

ქვემოთ მოყვანილი ცვლილებები და გაუმჯობესებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, სავარაუდოდ არ მოახდენს არსებით გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 18 დეკემბერს).
- ▶ წლიური გაუმჯობესებების მე-11 თავი (გამოცემული 2024 წლის 18 ივლისს)
- ▶ ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ფასს (IFRS) 9-ისა და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილება (გამოშვებული 2024 წლის 30 მაისს).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას. ქვემოთ განხილულია საანგარიშგებო თარიღისთვის მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შეფასების სხვა ძირითადი წყაროები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გუდვილის გაუფასურების ტესტი

გუდვილის გაუფასურების ტესტირებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები წარმოდგენილია მე-7 შენიშვნაში.

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურება

ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ზარალის რეზერვი იქმნება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შესაძლებლად მიაჩნია ჯგუფს კონკრეტული მომხმარებლების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მოთხოვნები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). მომხმარებლების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების ნორმა, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს. თუ ასეთი მტკიცებულება არ არსებობს, შესაბამისი მოთხოვნები ფასდება კოლექტიურად, როგორც კარგი ხარისხის მქონე, მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე მოთხოვნებში, დეფოლტის შემთხვევაში ზარალისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ვადაგადაცილებული დღეების არაარსებით ოდენობას.

კოლექტიურად შეფასების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობის განსჯით, ისტორიულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად. ჯგუფი შეფასებების გადახედვას ახდენს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზებისგან და ჯგუფის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე. ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 54,024 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 47,653 ლარი, 2023 წლის 1 იანვარი: 35,190 ლარი). იხილეთ მე-8 და 22-ე შენიშვნები.

სასამართლო დავებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებების შეფასება

ჩვეული საქმიანობის პროცესში ჯგუფის წინააღმდეგ შეაქვთ სარჩელები და საჩივრები, რომელთა ხასიათს ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს და აფასებს მათი შედეგების ალბათობებს და რისკებს, ანუ მათთან დაკავშირებულ პირობით ვალდებულებებს. ჯგუფი იურიდიული რისკების და მათთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას წარმოადგენს 27-ე შენიშვნაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების სეგმენტი მოიცავს 7 დიდ საავადმყოფოსა და საშუალო ზომის საავადმყოფოს, რომლებიც თბილისში და საქართველოს რეგიონებში მდებარეობენ და მეორე და მესამე დონის ჯანდაცვის მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებლებს.

რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოების სეგმენტი მოიცავს 27 ჯანდაცვის ობიექტს, რომლებიც ამბულატორიულ და ძირითად სტაციონარულ მომსახურებას უწევენ მომხმარებლებს.

პოლიკლინიკების სეგმენტი მოიცავს 16 პოლიკლინიკას, რომლებიც მომხმარებლებს უწევენ ამბულატორიულ დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მომსახურებას და 14 საცალო ლაბორატორიულ სივრცეს ჯიპისის აფთიაქებში.

დიაგნოსტიკური სეგმენტი მოიცავს თბილისში, საქართველოში მდებარე ლაბორატორიას.

ხელმძღვანელობა აკვირდება თავისი თითოეული სეგმენტის (სამეურნეო ერთეულის) საოპერაციო შედეგებს განცალკევებულად, რათა გადაწყვეტილება მიიღოს სახსრების განაწილებასა და შედეგების შეფასებაზე. სეგმენტის საქმიანობის შედეგი, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული, კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფინანსური ანგარიშგების მოგება-ზარალის მსგავსად ფასდება. კორპორაციული ცენტრის დანახარჯები უნაწილდება სეგმენტებს. ჯგუფის ამონაგების 100% წარმოქმნილი იყო საქართველოში 2024 და 2023 წლებში.

ჯგუფი თავისი ამონაგების 50%-ზე მეტს სახელმწიფოსგან იღებს. თუმცა, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მთავრობა ვერ ჩაითვლება ერთ კლიენტად, რადგან ჯგუფის მომხმარებლები არიან ის პაციენტები, რომლებიც იღებენ სამედიცინო მომსახურებას და არა ის კონტრაქტები, რომლებიც ამ მომსახურების ღირებულებას იხდიან. შესაბამისად, 2024 და 2023 წლებში ერთ გარეშე მომხმარებელთან დადებული გარიგებებიდან მიღებული ამონაგები ჯგუფის მთლიანი ამონაგების 10%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია სეგმენტის სრული შემოსავლის ანგარიშგებები:

	2024					
	დიდი და სპეციალი- ზებულო საავადმყოფოები	რეგიონული და საერთო პროფილის პროფილის	პოლიკლინიკები	დიაგნოსტიკა	სეგმენტშორისი გარიგებები და კონსოლიდაცია	სულ
სახელმწიფოსგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	128,860	74,270	14,932	387	-	218,449
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	84,230	23,566	38,502	21,830	(14,780)	153,348
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	16,775	11,366	5,871	-	-	34,012
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(3,217)	(2,240)	(83)	(36)	-	(5,576)
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	226,648	106,962	59,222	22,181	(14,780)	400,233
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(150,576)	(70,770)	(28,672)	(14,899)	17,376	(247,541)
საერთო მოგება	76,072	36,192	30,550	7,282	2,596	152,692
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10,608	1,893	1,016	22	(2,931)	10,608
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(29,106)	(17,192)	(11,316)	(2,083)	-	(59,697)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(8,664)	(3,869)	(4,761)	(1,952)	336	(18,910)
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(4,226)	(1,682)	(91)	-	-	(5,999)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,475)	(1,448)	(992)	(77)	(1)	(4,993)
EBITDA	(44,471)	(24,191)	(17,160)	(4,112)	335	(89,599)
	42,209	13,894	14,406	3,192	-	73,701
ცვეთა და ამორტიზაცია	(23,944)	(11,504)	(7,538)	(1,188)	-	(44,174)
საპროცენტო შემოსავალი	797	5,998	333	146	(6,349)	925
საპროცენტო ხარჯი	(27,712)	(11,752)	(3,161)	(804)	6,349	(37,080)
წმინდა (ზარალი)/შემოსულობა უცხოურ ვალუტიდან	(807)	519	(1,150)	50	-	(1,388)
ზარალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან	(1,300)	(565)	(394)	-	-	(2,259)
ზარალი მარაგების ჩამოწერებიდან და ვადაგასული ან შეწყვეტილი ერთჯერადი პროექტებიდან	(722)	(266)	(72)	-	-	(1,060)
გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	-	(270)	-	-	(270)
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)	(116)	(155)	(383)	(48)	-	(702)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე	(11,595)	(3,831)	1,771	1,348	-	(12,307)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(11,595)	(3,831)	1,771	1,348	-	(12,307)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

	2023				
	დიდი და სპეციალი- ზებულო საავადმყოფოები	რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოები	პოლიკლინიკები	დიაგნოსტიკა	სეგმენტშორისი გარიგებები და კონსოლიდაცია
სულ					
სახელმწიფოსგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	118,877	77,695	11,855	48	-
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	73,104	25,002	30,561	18,387	(12,972)
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	15,340	10,610	6,195	-	-
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(2,631)	(2,754)	(208)	-	-
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	204,690	110,553	48,403	18,435	(12,972)
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(136,394)	(76,226)	(24,079)	(13,745)	15,171
საერთო მოგება	68,296	34,327	24,324	4,690	2,199
სხვა საოპერაციო შემოსავალი	11,146	1,206	3,670	(4)	(2,448)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(26,460)	(14,257)	(9,086)	(1,826)	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,719)	(5,431)	(4,461)	(1,837)	128
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(3,853)	(2,122)	(156)	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,607)	(1,932)	(970)	(72)	121
EBITDA	(43,639)	(23,742)	(14,673)	(3,735)	249
	35,803	11,791	13,321	951	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(23,395)	(11,188)	(6,852)	(965)	-
საპროცენტო შემოსავალი	1,187	1,105	177	16	(1,143)
საპროცენტო ხარჯი	(24,683)	(10,032)	(4,560)	(674)	1,143
წმინდა (ზარალი)/შემოსულობა უცხოურ ვალუტიდან	(839)	(300)	(271)	3	-
ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სხვა მოთხოვნების გაუფასურება, ინდივიდუალურად შეფასებული ხარჯები და სასამართლო დავების გამო დაკისრებული ხარჯები	(6,857)	(11,159)	-	-	-
შემოსულობა/(ზარალი) სამეურნეო ერთეულების გაყიდვიდან	-	4,506	-	-	-
ზარალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან	(2,621)	-	-	-	-
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)	(342)	-	-	-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე	(21,747)	(15,277)	1,815	(669)	-
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(21,747)	(15,277)	1,815	(669)	-

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება მოიცავდა შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
ძირითადი საშუალებები (i)	508,213	490,163	500,756
იჯარები – აქტივის გამოყენების უფლება (ii)	31,311	25,073	18,112
სულ ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	539,524	515,236	518,868

(ი) ძირითადი საშუალებები

2024 წელსა და 2023 წელს ძირითადი საშუალებების ცვლილების დინამიკა ასეთი იყო:

	საავადმყოფოები და კლინიკები	ავეჯი და მოწყობი- ლობები	კომპიუ- ტერები	სამედიცინო აღჭურ- ვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სატრან- სპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება							
1 იანვარი, 2023 წ.	371,955	33,002	21,110	196,293	19,342	7,234	648,936
შემოსვლები	15,821	2,885	2,199	36,533	10,137	145	67,720
სამეურნეო							
ერთეულის გასვლა	(21,652)	(687)	(433)	(11,243)	(92)	–	(34,107)
გასვლები	(16,486)	(880)	(46)	(902)	(63)	(395)	(18,772)
31 დეკემბერი, 2023 წ.	349,638	34,320	22,830	220,681	29,324	6,984	663,777
შემოსვლები	12,201	6,953	1,634	24,202	6,987	606	52,583
გასვლები	–	–	–	(259)	–	–	(259)
31 დეკემბერი, 2024 წ.	361,839	41,273	24,464	244,624	36,311	7,590	716,101
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2023 წ.	20,079	16,130	13,335	88,128	6,076	4,432	148,180
ცვეთის ხარჯი	4,565	3,227	1,954	23,020	1,271	703	34,740
სამეურნეო							
ერთეულის გასვლა	(1,034)	(486)	(392)	(6,272)	–	–	(8,184)
გასვლები	(786)	(273)	–	–	(63)	–	(1,122)
31 დეკემბერი, 2023 წ.	22,824	18,598	14,897	104,876	7,284	5,135	173,614
ცვეთის ხარჯი	4,979	2,416	1,552	23,730	1,032	640	34,349
გასვლები	–	–	–	(75)	–	–	(75)
31 დეკემბერი, 2024 წ.	27,803	21,014	16,449	128,531	8,316	5,775	207,888
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება:							
1 იანვარი, 2023 წ.	351,876	16,872	7,775	108,165	13,266	2,802	500,756
31 დეკემბერი, 2023 წ.	326,814	15,722	7,933	115,805	22,040	1,849	490,163
31 დეკემბერი, 2024 წ.	334,036	20,259	8,015	116,093	27,995	1,815	508,213

ჯგუფი საოფისე და საავადმყოფოებისა და კლინიკების შენობებს თავისი ნასესხები სახსრების უზრუნველყოფისთვის იყენებს. დაგირავებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 334,036 (2023 წლის 31 დეკემბერი: 326,814 ლარი, 2023 წლის 1 იანვარი: 351,876 ლარი).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

(ii) იჯარები

ჯგუფი მოიჯარედ გამოდის ბევრ საიჯარო შეთანხმებაში, რომელთა უმეტესობა ეხება ჯგუფის კლინიკებისა და საწყობებისთვის იჯარით აღებულ შენობებს. იჯარები მეტწილად გამოხატულია აშშ დოლარში.

ცხრილში წარმოდგენილია აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება საოპერაციო სეგმენტების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
პოლიკლინიკების ბიზნესი	26,301	19,636	12,593
დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების ბიზნესი	3,775	4,053	5,519
რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოების ბიზნესი	1,235	1,384	–
სულ აქტივის გამოყენების უფლება	31,311	25,073	18,112

ცხრილში წარმოდგენილია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება საოპერაციო სეგმენტების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
პოლიკლინიკების ბიზნესი	27,206	20,489	12,195
დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების ბიზნესი	3,736	4,198	5,427
რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოების ბიზნესი	1,221	1,394	–
სულ საიჯარო ვალდებულებები	32,163	26,081	17,622
გრძელვადიანი	26,077	20,975	13,869
მოკლევადიანი	6,086	5,106	3,753

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის აქტივის გამოყენების უფლებებისა და საიჯარო ვალდებულებების ცვლილების დინამიკა წლის განმავლობაში:

	აქტივის გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულებები
1 იანვარი, 2023 წ.	18,112	17,622
შემოსვლები	10,894	10,894
ცვეთის ხარჯი	(3,933)	–
საპროცენტო ხარჯი	–	1,598
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	–	94
გადახდები	–	(4,127)
31 დეკემბერი, 2023 წ.	25,073	26,081
შემოსვლები	10,223	10,223
ცვეთის ხარჯი	(3,985)	–
საპროცენტო ხარჯი	–	913
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	–	1,307
გადახდები	–	(6,361)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	31,311	32,163

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილის და სხვა არამატერიალური აქტივების ცვლილების დინამიკა ასეთი იყო:

	გუდვილი	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2023 წ.	20,711	70,159	90,870
შემოსვლები	442	6,887	7,329
31 დეკემბერი, 2023 წ.	21,153	77,046	98,199
შემოსვლები	–	15,520	15,520
31 დეკემბერი, 2024 წ.	21,153	92,566	113,719
დაგროვილი ამორტიზაცია			
1 იანვარი, 2023 წ.	–	11,388	11,388
ამორტიზაციის ხარჯი	–	3,727	3,727
31 დეკემბერი, 2023 წ.	–	15,115	15,115
ამორტიზაციის ხარჯი	–	5,840	5,840
31 დეკემბერი, 2024 წ.	–	20,955	20,955
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება:			
1 იანვარი, 2023 წ.	20,711	58,771	79,482
31 დეკემბერი, 2023 წ.	21,153	61,931	83,084
31 დეკემბერი, 2024 წ.	21,153	71,611	92,764

სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავს საავადმყოფოების აკრედიტაციის მოსაპოვებლად კაპიტალიზებულ დანახარჯებს და კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გამოუვლენია არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები.

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია გუდვილის საბალანსო ღირებულება სეგმენტების მიხედვით (რომელიც არის ის დონე, რომლისთვისაც მიკუთვნებადია გუდვილი, რომელიც მიმოიხილება ხელმძღვანელობის მიერ და რომლისთვისაც მოწმდება გაუფასურება) და სხვა არამატერიალური აქტივები:

	საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ეფექტური წლიური ზრდის ტემპი	გაუფასურების ტესტი- რებისთვის გამოყენებული დისკონტი-რების განაკვეთი (დაბეგვრამდე)	რეალური ზრდის ტემპი 2025-2030 წლებისთვის	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების გუდვილი	5%	17.5%	26.4%	3,328	3,328	3,328
რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოების გუდვილი	5%	17.5%	11.3%	12,772	12,772	12,772
პოლიკლინიკების გუდვილი	5%	18.0%	20.0%	3,604	3,604	3,162
დიაგნოსტიკის გუდვილი	5%	18.5%	21.2%	1,449	1,449	1,449
სულ გუდვილი				21,153	21,153	20,711

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

გუდვილის გაუფასურების ტესტირების ჩატარებისას შემდეგი ძირითადი დაშვებები გაკეთდა:

- ▶ დისკონტირების განაკვეთი გამოთვლილია კაპიტალური აქტივების ფასდადების მოდელის გამოყენებით დარგის ბეტა კოეფიციენტზე დაყრდნობით.
- ▶ 2025 წლიდან 2030 წლამდე პროგნოზირებული ფულადი ნაკადები მოდელირებული იყო ინდივიდუალურად, ქვემოთ მოცემული რთული საშუალო ზრდის ტემპებით, ხოლო 2031 წლიდან მოდელირება ეყრდნობოდა საპროგნოზო პერიოდის შემდგომ 5%-იან ზრდის ტემპს.
- ▶ მომავალი ფულადი ნაკადების 20%, რომლებიც მიკუთვნებადი იყო მსხვილი და სპეციალიზებული საავადმყოფოების გუდვილის გაუფასურების ტესტირების მოდელისთვის, პირობითად მიეკუთვნა რეგიონულ და საერთო პროფილის საავადმყოფოებს გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, ვინაიდან ჯგუფი მოელის სინერგიების მიღებას მომხმარებელთა ერთგულებიდან და მათი შენარჩუნებიდან და რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოების მომხმარებლებისთვის დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების მიერ გაწეული მომსახურების რეკლამირებისგან.

ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. გაუფასურების ბოლო ტესტირება ჯგუფმა ჩაატარა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფს არ გამოუვლენია გუდვილის რამენაირი გაუფასურება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ქვემოთ წარმოდგენილია გუდვილის გაუფასურების ტესტირებაში გამოყენებული ძირითადი დაშვებების შეჯამება და მგრძნობელობა:

	გრძელვადიანი ზრდის ტემპი საპროგნოზო პერიოდის შემდგომ გამოყენების დირებულებას უთანაბრებს ანაზღაურებად დირებულებას, %		დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენების დირებულებას უთანაბრებს ანაზღაურებად დირებულებას, %
დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების გუდვილი	2.9%		18.9%
რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოების გუდვილი	2.8%		18.7%
პოლიკლინიკების გუდვილი	(i)		36.5%
დიაგნოსტიკის გუდვილი	(i)		23.4%

(i) პოლიკლინიკებისა და დიაგნოსტიკის გუდვილი არ არის მგრძნობიარე გრძელვადიანი ზრდის ტემპისადმი, მის გონივრულ დიაპაზონში ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისად ამ შეჯამების მიზნებისთვის ის არ გამოითვლება.

8. ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
მოთხოვნები სახელმწიფოს მიმართ	90,091	93,877	77,634
მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ და სხვა			
მოთხოვნები	49,417	39,894	37,162
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	4,407	7,989	14,446
	143,915	141,760	129,242
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(54,024)	(47,653)	(35,190)
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	89,891	94,107	94,052
გრძელვადიანი	9,741	8,933	6,225
მოკლევადიანი	80,150	85,174	87,827

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხებოდა, გამოხატული იყო ლარში და, როგორც წესი, ჰქონდა 180 დღემდე ვადა. ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
ძირითად საშუალებებში გადახდილი ავანსები	5,106	3,464	7,257
მარაგებში გადახდილი თანხები	4,170	4,716	1,782
სხვა გადახდილი ავანსები	2,301	1,230	814
სულ გადახდილი ავანსები	11,577	9,410	9,853
გრძელვადიანი	5,106	3,464	7,257
მოკლევადიანი	6,471	5,946	2,596

10. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით *	7,945	7,857	7,274
მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	5,099	8,418	2,838
წინასწარ გადახდილი საოპერაციო გადასახადები	2,961	301	340
საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	2,997	3,521	2,519
სარეზიდენტო პროგრამასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,238	1,271	642
საინვესტიციო ქონება	1,152	1,152	1,112
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	973	873	874
გაცემული სესხი	736	1,242	1,470
სხვა აქტივები	6,529	10,601	7,464
	29,630	35,236	24,533
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი (22-ე შენიშვნა)	(3,426)	(3,480)	(2,643)
სხვა აქტივები, წმინდა	26,204	31,756	21,890
გრძელვადიანი	14,778	16,171	16,464
მოკლევადიანი	11,426	15,585	5,426
საიდანაც:			
ფინანსური აქტივები	21,118	29,430	19,564
არაფინანსური აქტივები	5,086	2,326	2,326
სხვა აქტივები, წმინდა	26,204	31,756	21,890

* კაპიტალის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წარმოდგენილია მშობელი საწარმოს საკუთარი კაპიტალის აქციებით, რომლებიც შესყიდულია ჯგუფის აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ასეთი აქციები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე იმ კოტირებების მიხედვით, რომლებიც ყველაზე ახლოსაა საანგარიშგებო თარიღთან.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. მარაგები

	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2023 წ.</i>	<i>1 იანვარი, 2023 წ.</i>
მედიკამენტები	25,943	24,518	20,817
არასამედიცინო მასალები	4,909	4,733	3,871
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	30,852	29,251	24,688

2024 წელს ჯგუფმა აღიარა 1,060 ლარის აგრეგირებული ზარალი ვადაგასული ან შეწყვეტილი ერთჯერადი პროექტებიდან, რაც მოიცავს კოვიდთან დაკავშირებული 260 ლარის მარაგების ჩამოწერას, ასევე 800 ლარს, რომელიც უკავშირდება შეწყვეტილ სუროგაციის პროგრამას და საავადმყოფოებისა და კლინიკებისთვის აკრედიტაციის მოპოვების ხარჯებს, რომლებიც თავიანთი ხასიათით არარეგულარულია, მაგრამ კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2023 წ.</i>	<i>1 იანვარი, 2023 წ.</i>
ნაღდი ფული	285	276	209
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	38,499	33,995	35,124
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	38,784	34,271	35,333

ბანკებში მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და დამოკიდებულია ბანკის შენატანების დღიურ განაკვეთებზე. ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაქტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

13. საკუთარი კაპიტალი**შერწყმის რეზერვი / სააქციო კაპიტალი**

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (GHG Newco) სააქციო კაპიტალი გამოხატულია ლარში და სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მშობელ საწარმოს უფლება აქვს, დივიდენდები ლარში მიიღოს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ მიმოქცევაში არსებული აქციების (A და B ტიპის აქციების გაერთიანებული კლასი) რაოდენობა იყო 105,943,729 თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარს შეადგენდა.

<i>აქციების რაოდენობა</i>	<i>A ტიპი</i>	<i>B ტიპი</i>	<i>სულ</i>
გამოშვებული და განაღდებული სააქციო კაპიტალი	105,279,519	–	105,279,519
გამოშვებული და გაუნაღდებული სააქციო კაპიტალი	–	664,210	664,210

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

თითოეული A ტიპის აქცია ატარებს ერთი ხმის უფლებას და წარმოდგენილია სააქციო კაპიტალში. B ტიპის აქციის მფლობელებს უფლება აქვთ დივიდენდი მიიღონ ლარში, მაგრამ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ არ იყო დაფუძნებული და, შესაბამისად, ეს თანხა წარმოდგენილია, როგორც შერწყმის რეზერვი და არა სააქციო კაპიტალი. შერწყმის რეზერვში 2023 წელს ცვლილების დინამიკა არ შეინიშნებოდა. 2024 წლის 17 დეკემბერს „GHG Newco“ ოფიციალურად დარეგისტრირდა და GHG Oldco-ს სახელი გადაერქვა სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფად“ ასევე რეორგანიზდა გამოყოფილი ჯანდაცვის ბიზნესის სახით (1-ელი შენიშვნა). შესაბამისად, შერწყმის რეზერვი რეკლასიფიცირდა სააქციო კაპიტალად. 29,720 ლარის სხვაობა GHG Newco-ს დაფუძნების თარიღისთვის შერწყმის რეზერვის ოდენობასა და მისი გამოშვებული და შეტანილი სააქციო კაპიტალის 105,280 ლარის ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაში.

განაწილებები მშობელ საწარმოზე

მშობელ საწარმოზე განაწილებული 1,990 ლარი, აღიარებული, როგორც გაუნაწილებელი მოგების შემცირება, მოიცავს აქტივებისა და ვალდებულებების (ძირითადად ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების) გადატანებისა და განაწილების ეფექტებს საანგარიშგებო თარიღებს შორის და რომლებიც უკავშირდება ბიზნესის გაყოფის პროცესს და წარმოადგენს საბალანსო კაპიტალის კომპონენტს, რაც 1-ელ შენიშვნაში ასახულია ცალკე გამოყოფილ ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველში.

დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი შედგება საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის წილობრივ აქციებთან დაკავშირებულ გარიგებებზე საკუთარი კაპიტალის კრედიტ-დებეტისგან. „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციებთან დაკავშირებული გარიგებების გავლენა (აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ჩათვლით) ასახულია დამატებით შეტანილი კაპიტალის ანგარიშზე.

კაპიტალის მართვა

მართული კაპიტალი შედგება სააქციო კაპიტალისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, სხვა რეზერვებისგან, არამაკონტროლებელი წილებისგან, ნასესხები სახსრებისგან და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდებისგან. ჯგუფს განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ▶ ჯგუფის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით აქციონერებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ▶ კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- ▶ მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და აქციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	163,890	164,983	22,707
უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	23,191	39,213	20,259
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები	13,459	15,895	11,768
მთლიანი მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	200,540	220,091	54,734
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	136,134	52,267	110,056
უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	–	–	35,041
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები	5,573	10,175	21,581
მთლიანი გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	141,707	62,442	166,678
ნასესხები სახსრები, სულ	342,247	282,533	221,412

2024 წელს, ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 12.5% იყო (2023 წ.: 12.7%), ხოლო საშუალო ვადა - 1,529 დღე (2023 წ.: 673 დღე). საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო საპროცენტო განაკვეთი 10.7% იყო (2023 წ.: 10.3%), ხოლო ვადა – 365 დღე (2023 წ.: 366 დღე). დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხებ სახსრებს ჰქონდა 5.9%-ის საშუალო საპროცენტო განაკვეთი (2023 წ.: 6.86%), და 960-დღიანი ვადა (2023 წ.: 1,277 დღე). ზოგიერთი სესხი მიღებულია გარკვეული პირობებით, როგორცაა მოზიდული სახსრების წილის, კაპიტალური ინვესტიციების, უძრავი ქონების მინიმალური ოდენობის და სხვა სხვადასხვა ლიმიტის შენარჩუნება.

ჯგუფის ნასესხებ სახსრებს ჰქონდა შემდეგი ცვალებადი და ფიქსირებული განაკვეთები:

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
ცვალებადი განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები (სებ)	297,213	244,952	168,785
ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები	35,232	13,946	14,422
ცვალებადი განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები (უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთი (SOFR))	9,802	23,635	38,205
ნასესხები სახსრები, სულ	342,247	282,533	221,412

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფსა და სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფს“ (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) გაფორმებული ჰქონდათ თანასესხების ხელშეკრულება საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებასთან 36,190 ლარის ოდენობით. მხარეები იღებენ სრულ პასუხისმგებლობას დაფარონ სესხი როგორც ერთობლივად, ისე ცალკე თანასესხების ხელშეკრულების პირობების თანახმად. ჯგუფმა თავისი ვალდებულება ამ ფინანსური გარანტიების ფარგლებში 2024 წლის 31 დეკემბრისთვის 270 ლარით შეაფასა, რაც ასევე აღიარა ცალკე კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ მოგება-ზარალში, როგორც გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (27-ე შენიშვნა).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

14. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს დარღვეული ჰქონდა ფინანსური პირობები, რომლებიც უკავშირდებოდა ჯგუფის მიერ უცხოური და ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხებ სახსრებს 107,702 ლარის აგრეგირებული საბალანსო ღირებულებით (2023 წლის 31 დეკემბერი: 88,172 ლარი, 2023 წლის 1 იანვარი: ნული) და რომელთან მიმართებაშიც მოპოვებული იქნა მოთხოვნის უფლების დათმობები 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ. შესაბამისად, ეს ნასესხები სახსრები კლასიფიცირდა, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები არ ექვემდებარება ფინანსურ პირობებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში:

	ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სულ
1 იანვარი, 2023 წ.	221,412	47,578	268,990
აღებული სესხები	229,940	–	229,940
ნასესხები სახსრების დაფარვა	(170,984)	–	(170,984)
საპროცენტო ხარჯი	29,998	7,210	37,208
გადახდილი პროცენტი	(26,940)	(7,284)	(34,224)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა	(893)	–	(893)
31 დეკემბერი, 2023 წ.	282,533	47,504	330,037
აღებული სესხები	339,448	–	339,448
სესხების და ობლიგაციების დაფარვა	(278,212)	(47,000)	(325,212)
საპროცენტო ხარჯი	32,995	3,172	36,167
გადახდილი პროცენტი	(34,609)	(3,676)	(38,285)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი	92	–	92
31 დეკემბერი, 2024 წ.	342,247	–	342,247

15. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2024 წელს ჯგუფმა მოახდინა თავისი გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების რეფინანსირება (რომელთაც ჰქონდათ 47,504 ლარის საბალანსო ღირებულება დაფარვის მომენტისთვის) ადგილობრივი ბანკებისგან ლარში გამოხატული ნასესხები სახსრებით. მთლიანი გადახდილი თანხიდან 14,068 ლარი იყო მიკუთვნებადი მშობელი საწარმოსთვის (სს „საქართველოს კაპიტალი“). ობლიგაციები თავიდან გამოიშვა 2019 წლის ნოემბერში, ჰქონდა ხუთი წლის ვადა და 50 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულება, ობლიგაციები გამოიშვა ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური კუპონის განაკვეთი იყო 11.6%, რაც წარმოადგენს 310 საბაზისო პუნქტის პრემიას სებ-ის მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირება) განაკვეთზე.

	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.	1 იანვარი, 2023 წ.
მიმდინარე	–	47,504	7,144
გრძელვადიანი	–	–	40,434
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	47,504	47,578

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. სავაჭრო ვალდებულებები

	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2023 წ.</i>	<i>1 იანვარი, 2023 წ.</i>
ჯანდაცვის მასალებთან და მარაგებთან დაკავშირებული ვალდებულებები	9,184	14,673	12,020
საოფისე ინვენტართან დაკავშირებული ვალდებულებები	7,600	6,446	6,150
გრძელვადიან აქტივებთან დაკავშირებული სავაჭრო ვალდებულებები	6,826	6,540	2,031
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები	1,960	1,331	4,540
სხვა ვალდებულებები	180	96	1,464
სავაჭრო ვალდებულებები, სულ	25,750	29,086	26,205
გრძელვადიანი	–	–	–
მოკლევადიანი	25,750	29,086	26,205

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებოდა, მეტწილად გამოხატული იყო ლარში და, როგორც წესი, ჰქონდა 90 დღემდე ვადა.

17. ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან

	<i>2024</i>	<i>2023</i>
სახელმწიფოსგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	218,449	208,475
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	153,348	134,082
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	34,012	32,145
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(5,576)	(5,593)
სულ ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	400,233	369,109

ჯგუფმა აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	<i>2024</i>	<i>2023</i>	<i>1 იანვარი, 2023 წ.</i>
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მთლიანი	143,915	141,760	129,242
გაუფასურების რეზერვი	(54,024)	(47,653)	(35,190)
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	89,891	94,107	94,052
მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	5,099	8,418	2,838
გაუფასურების რეზერვი	(3,426)	(3,480)	(2,643)
სულ მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	1,673	4,938	195
სარეზიდენტო პროგრამასთან დაკავშირებული მოთხოვნები	1,238	1,271	642
გაუფასურების რეზერვი	–	–	–
სარეზიდენტო პროგრამასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა	1,238	1,271	642
მიღებული ავანსები	366	145	159

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან (გაგრძელება)

გადავადებული შემოსავლის აღიარება ხდება ამონაგებად ჯგუფის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისთანავე. ჯგუფი მიმართავს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას და არ წარადგენს ინფორმაციას შეუსრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე განაწილებული გარიგების ფასის აგრეგირებული თანხის შესახებ, რომლის შესაბამისი ხელშეკრულების თავდაპირველი ვადა ერთ წელზე ნაკლებია.

2024 წელს ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები გაიზარდა, რაც შესაბამისობაშია სახელმწიფოსგან და სადაზღვევო კომპანიებისგან ჯანდაცვის მომსახურების ამონაგების ზრდასთან და ძირითადად განპირობებულია ფასწარმოქმნაში შესული ცვლილებებით საქართველოში საავადმყოფოებისთვის დიაგნოზთან დაკავშირებული ჯგუფების (DRG) სისტემის შემოღების შედეგად.

2024 წელს ჯგუფმა აღიარა შემდეგი თანხები, რომლებიც დაკავშირებული იყო მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგებთან კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში:

	2024	2023
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	400,233	369,109
ამონაგები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან	2,733	314
ამონაგები პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებიდან	2,683	2,876
შემოსავალი მედიკამენტების გაყიდვიდან *	607	1,690
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან *	204	3,867
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, სულ	406,460	377,856

*ამონაგები მედიკამენტების გაყიდვიდან, ასევე ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან წარმოდგენილია სხვა საოპერაციო შემოსავალში მათთან დაკავშირებული დანახარჯების გარეშე (მე-19 შენიშვნა).

18. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

	2024	2023
ხელფასებისა და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოების ხარჯი	(160,008)	(146,851)
ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება	(63,470)	(62,874)
კომუნალური და სხვა ხარჯი	(22,275)	(23,960)
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(1,788)	(1,588)
ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები, სულ	(247,541)	(235,273)

კომუნალურ და სხვა ხარჯებში შედის ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების, წყალმომარაგების, საწვავის, სამედიცინო აპარატურის სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. არაპირდაპირი ხელფასები, რომლებიც არ აისახა ჯანდაცვის მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებში 2024 წელს შეადგენდა 59,697 ლარს (2023 წ.: 51,629 ლარი) და წარმოდგენილი იყო ცალკე მუხლად მოგებაში ან ზარალში. 2024 წლის მოგებაში ან ზარალში ხარჯად აღიარებული ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის მთლიანმა თანხამ შეადგინა 219,705 ლარი (2023 წ.: 198,480 ლარი).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2024	2023
ამონაგები უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებიდან	2,733	314
ამონაგები პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებიდან	2,683	2,876
შემოსავალი სარეზიდენტო პროგრამებიდან	1,976	861
საიჯარო შემოსავალი	1,323	2,087
ამონაგები მედიკამენტების გაყიდვიდან	607	1,690
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	204	3,867
ამონაგები საკანცელარიო ნივთების გაყიდვიდან	15	38
სხვა	1,067	1,837
სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ	10,608	13,570

20. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

	2024	2023
ხელფასები და სხვა გასამრჯელოები	(49,615)	(44,813)
პრემიები ფულადი სახით	(7,141)	(3,270)
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	(2,941)	(3,546)
სულ ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(59,697)	(51,629)

2024 წელს ხელმძღვანელი პირების აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების მთლიანი თანხა შესაბამისი დანახარჯების კაპიტალიზაციამდე 4,984 ლარს შეადგენდა (2023 წ.: 5,548 ლარი). აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ხარჯების ნაწილი, 2,043 ლარის ოდენობით (2023 წ.: 2,002 ლარი) კაპიტალიზდა განვითარების პროექტებზე.

გარდა ამისა, შემდეგ თანხები იქნა ცალკე წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან ზარალში:

	2024	2023
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან ზარალი (30-ე შენიშვნა)	(868)	(2,621)
სხვა თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან ზარალი	(1,391)	–
სულ ზარალი დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულების შეწყვეტიდან	(2,259)	(2,621)

21. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
საოფისე ინვენტარი და კომუნალური ხარჯები	(5,927)	(5,924)
მარკეტინგი და რეკლამა	(2,727)	(4,616)
მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარის ხარჯი	(1,901)	(1,988)
ტრანსპორტირება	(1,391)	(1,254)
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(996)	(834)
პროფესიული მომსახურება	(310)	(99)
კომუნიკაციები	(984)	(1,006)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(813)	(717)
მგზავრობის ხარჯები	(581)	(821)
საოპერაციო საგადასახადო ხარჯი	(463)	(532)
უსაფრთხოება	(148)	(125)
სხვა	(2,669)	(4,404)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(18,910)	(22,320)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

2024 წელს ჯგუფის მიმდინარე წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და შვილობილი საწარმოების სავალდებულო აუდიტორულ შემოწმებებში გადასახდელი აუდიტის გასამრჯელო იყო 715 ლარი (2023 წ.: 664 ლარი).

22. ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა აქტივების გაუფასურება

	<i>ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები</i>		<i>სხვა მოთხოვნები</i>	<i>სულ</i>
1 იანვარი, 2023 წ.	35,190	2,643		37,833
გაუფასურების ხარჯი	6,131	–		6,131
ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების დანარიცხი და ხარჯები სასამართლო დავების გამო	14,824	3,192		18,016
მოთხოვნების ჩამოწერა სასამართლო დავების გამო (27-ე შენიშვნა)	(8,530)	–		(8,530)
ჩამოწერა/(ამოღება)	38	(2,355)		(2,317)
31 დეკემბერი, 2023 წ.	47,653	3,480		51,133
გაუფასურების ხარჯი	5,999	–		5,999
ჩამოწერა/(ამოღება)	372	(54)		318
31 დეკემბერი, 2024 წ.	54,024	3,426		57,450

2023 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა ჩაატარა უფრო დაწვრილებით ანალიზი თავისი ჯანდაცვის და სხვა მოთხოვნებთან, რომლებიც უკავშირდება მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვას, და აღიარა 9,486 ლარის დამატებითი რეზერვი, ასევე 8,530 ლარი სასამართლო დავების გამო (27-ე შენიშვნა), რომელიც შემდგომში ჩამოიწერა პირდაპირ მასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან. ასეთი დამატებითი ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის ხარჯი ძირითადად მიკუთვნებულია ან ერთჯერადი გაყიდვის ტრანზაქციისთვის, ან მომხმარებლებისთვის, რომლებთანაც ჯგუფმა შეწყვიტა თავისი ოპერაციები გადახდის მნიშვნელოვანი დაგვიანების გამო. ეს ერთჯერადი გაუფასურების ხარჯი და სასამართლო დავებით გამოწვეული ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

23. სხვა საოპერაციო ხარჯები

	<i>2024</i>	<i>2023</i>
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(3,460)	(3,138)
ჯარიმები და საგადასახადო აქტივების გაუფასურება	(401)	(406)
გაწეული პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ღირებულება	(733)	(827)
საქველმოქმედო საქმიანობა	(207)	(248)
სხვა	(192)	(841)
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	(4,993)	(5,460)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

24. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		
მოთხოვნებიდან	870	379
გაცემულ სესხებზე საპროცენტო შემოსავალი	55	963
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	925	1,342
საპროცენტო ხარჯი		
ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	(32,995)	(29,998)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო ხარჯი	(3,172)	(7,210)
საპროცენტო ხარჯი იჯარაზე	(913)	(1,598)
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	(37,080)	(38,806)

25. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება

2023 წლის აპრილში „საქართველოს კაპიტალის“, მშობელი საწარმოს, დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა „საქართველოს კაპიტალის“ 35,073 ჩვეულებრივი აქციის და „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ 95,949 B ტიპის აქციის გადაცემა ჯგუფის გენერალური დირექტორისთვის და „ევექსი ჰოსპიტლების“ 75,125 B ტიპის აქციის გადაცემა ჯგუფის 12 აღმასრულებელი პირისთვის. აქციები გადაიცა უფლების გადაცემის სამ და ოთხწლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობა ამ ხნის განმავლობაში უწყვეტი დასაქმებაა. უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა ვრცელდება დისკრეციულ აქციებზე, ხოლო უფლების გადაცემის ოთხწლიანი პერიოდი – გარანტირებულ აქციებზე. ჯგუფი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2023 წლის 28 აპრილს. ჯგუფის შეფასებით, საქართველოს კაპიტალის გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება იყო 19.0 ლარი უფლების მინიჭების თარიღისთვის, საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება იყო 11.5 ლარი უფლების მინიჭების თარიღისთვის, და „ევექსი ჰოსპიტლების“ გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება იყო 7.7 ლარი უფლების მინიჭების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა უფლების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასზე დაყრდნობით საქართველოს კაპიტალის აქციების შემთხვევაში და მესამე მხარის შეფასების ანგარიშზე დაყრდნობით – ყველა დანარჩენი აქციის შემთხვევაში. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციებზე უფლების გადაცემა არ მომხდარა.

ჯგუფის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაზე აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოების ეფექტების შეჯამება ასე გამოიყურება:

	2024	2023
„საქართველოს კაპიტალის“ აქციების გადაცემა	1,758	1,214
„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციების გადაცემა	2,529	2,089
„ვიანის“, „საქართველოს კლინიკების“ და „ევექსის“ აქციების გადაცემა	505	1,926
„დიაგნოსტიკის“ აქციების გადაცემა	192	319
სულ აქციებზე დაფუძნებული გადახდების ხარჯი კაპიტალიზაციამდე	4,984	5,548
- აქედან წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ხარჯი	4,445	3,546
- აქედან ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების ხარჯი	539	2,002
- ხარჯად ასახული მოგებაში ან ზარალში	2,941	3,546
- კაპიტალიზებული აქტივების თვითღირებულებაზე	2,043	2,002
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოები ვალდებულება, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,945	7,857

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

25. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება (გაგრძელება)

2024 წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში, რომელიც განპირობებულია აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოებით, შედის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოების დაჩქარებული გადაცემა 184 ლარის ოდენობით (2023 წ.: 1,589 ლარი) ჯგუფის ან მისი შვილობილი საწარმოების დათხოვნილი უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის და 1,391 ლარის ოდენობით (2023 წ.: ნული) სხვა თანამშრომლებისთვის, რომელიც კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია, როგორც ზარალი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კომპენსაციებიდან (იხ. ასევე 30-ე შენიშვნა).

26. გადასახადები

2024 და 2023 წლებში ჯგუფს არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი. საქართველოში იურიდიულმა პირებმა ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციები უნდა წარადგინონ. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენდა გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-ს – განაწილებულ მოგებაზე. ჯგუფის მიერ განაწილებულ დივიდენდებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ გამოუწვევია საგადასახადო შედეგები, ვინაიდან სხვა ქართული იურიდიული პირების მიმართ განაწილებები გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. 2024 და 2023 წლებში კომპანიას დივიდენდები არ გაუნაწილებია მშობელ საწარმოზე.

27. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

ჩვეული საქმიანობის პროცესში ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა აღიმართოს სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა დავა სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და ააიპ „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთან“ („სააგენტო“) 24,254 ლარის აგრეგირებულ თანხაზე (2023 წლის 31 დეკემბერი: 24,252 ლარი, 2023 წლის 1 იანვარი: 23,672 ლარი), საიდანაც 5,064 ლარი ჩამოიწერა ჯანდაცვის მომსახურების მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან 2023 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, და 15,079 ლარზე (2023 წლის 31 დეკემბერი: 14,306 ლარი, 2023 წლის 1 იანვარი: 5,315 ლარი), საიდანაც 2,782 ლარი ჩამოიწერა ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან 2023 წლის კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოციალური მომსახურების სააგენტოსთან დავა ძირითადად უკავშირდებოდა საპროცესო დარღვევებს სამედიცინო დოკუმენტაციაში, ასევე ბილინგისა და ანგარიშგაქტურების გამოწერის პროცესში. დავა სააგენტოსთან უკავშირდება საავადმყოფოებში ახალი კოვიდ-19-ის სამართავად მიღებული ეროვნული ჯანდაცვის რეგულაციების დარღვევას. ხელმძღვანელობის აზრით, მოსალოდნელი არ არის, რომ კომპანიამ განიცადოს შემდგომი არსებითი ეკონომიკური სარგებლის გადინება ამ დავების მოგვარების შედეგად, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით შემდგომი ანარიცხები არ აღიარებულა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

27. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის რამდენიმე კომპანია, ასევე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები (სს „ვიანი“, სს „საქართველოს კლინიკები“, სს „ევექსის კლინიკები“ და სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“, შემდგომში ერთობლივად – „მოპასუხეები“) მონაწილეობდნენ სასამართლო დავაში „იმედი L“-ის ზოგიერთ ყოფილ მფლობელთან („მოსარჩელები“) ბიზნესის შესყიდვის ფასის თაობაზე. ყოფილი მფლობელები აცხადებენ, რომ მათი აქციები „იმედი L“-ში 2012 წელს იძულების წესით გაიყიდა ჯგუფზე საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად. 2018 წელს მოპასუხეებმა მოიგეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში. მოსარჩელებმა გაასაჩივრეს სასამართლოს გადაწყვეტილება და 2020 წლის იანვარში თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმე წარმოებაში დაუბრუნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ეს გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომაც ძალაში დატოვა 2022 წლის თებერვალში. 2022 წლის ივლისში თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელები, ახალი არსებითი მტკიცებულების გარეშე და მოპასუხეებს დააკისრა მთლიანი სადავო თანხის – 21 მილიონი აშშ დოლარის გადახდა (58.9 მილიონი ლარი). კომპანიამ გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა 2022 წლის სექტემბერში. დავის სტატუსში მას შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სარჩელში აღწერილი ფაქტები არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებით. არანაირი სამართალდარღვევა ან უკანონო ქმედების ჩადენა არ მტკიცდება. სარჩელი წარმოდგენილია მხოლოდ განცხადებების სახით და არ არსებობს ასეთი ქმედებების მტკიცებულება, ვინაიდან აღნიშნული ქმედებები არ განხორციელებულა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და რომ „იმედი L“-ში აქციები მოპასუხეებმა შეიძინეს სამართლიან ფასად კეთილსინდისიერი შეთანხმებების საფუძველზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელთან დაკავშირებით ზარალის ალბათობა 50%-ზე დაბალია და ამიტომ არ უღიარებია შესაბამისი ანარიცხები კონსოლიდირებულ ცალკე გამოყოფილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ექვექვემ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მტკიცე პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვექვემ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო შეიძლება დაირიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილი არიან შეამოწმონ შემოწმების პერიოდის წინა ხუთი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

ფინანსური გარანტიები

ჯგუფმა თავისი საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის გარანტიები გასცა იმ შემთხვევისთვის, თუ ისინი ვერ დაფარავენ ნასესხებ სახსრებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მიერ გარანტირებული თანხები ამ შეთანხმებების თანახმად იყო 36,190 ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: ნული, 2023 წლის 1 იანვარი: ნული). გარანტიების დაფარვის თარიღები სხვადასხვაა და მათი ვადა წყდება ვალდებულების სრულად გადახდის და/ან გაუქმების შემთხვევაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აღიარა 270 ლარის ვალდებულება ფინანსურ გარანტიებთან დაკავშირებით, რაც სხვა ვალდებულებებშია ასახული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა

შესავალი

ჯგუფის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის რენტაბელურობისათვის და ჯგუფის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები. რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო მფლობელების წინაშე პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობის მართვით მათთვის მდგრადი ღირებულების შექმნასა და მიწოდებაზე. მის მოვალეობებში შედის ჯგუფის სტრატეგიის დასახვა და მისი განხორციელება რისკის ეფექტური მართვის და შიდა კონტროლების გათვალისწინებით, ეთიკურობის დემონსტრირება და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა. დირექტორთა საბჭო შედგება 14 ხელმძღვანელი პირისგან, რომელთაგან ცხრა ჯგუფის დონეზე მართვაში ჩართული, ხოლო დანარჩენი ხუთი მენეჯერი საოპერაციო ერთეულების მართვაში მონაწილეობს.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი

შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ჯგუფის რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისი პრინციპების, საფუძვლების, პოლიტიკის და ლიმიტების დანერგვასა და გატარებაზე, რაც უკავშირდება ზოგადი კონტროლის გარემოს, მანუალური და პროგრამული კონტროლის პროცედურებს, გამიზნული თუ უნებლიე უზუსტობების რისკებს, თაღლითობის ან აქტივების მითვისების რისკს, ინფორმაციის უსაფრთხოებას, საინფორმაციო ტექნოლოგიის რისკებს და ა.შ. შიდა აუდიტის დეპარტამენტი ხელს უწყობს ჯგუფის გარე აუდიტორების საქმიანობას.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ჯგუფის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რომელიც წარმოადგენს პროგნოზირების სხვადასხვა მოდელის საფუძველზე ნავარაუდევ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად.

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნეს განყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიშები ასახავს აგრეგირებულ დაუფარავ მოთხოვნებსა და კრედიტებს, მათ ლიმიტებს, ამ ლიმიტებიდან გამონაკლისებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და ლიკვიდურობის ლიმიტებს, საბაზრო რისკის კოეფიციენტებს და მათ ლიმიტებს და ცვლილებებს რისკის პროფილში. წამყვანი ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს ლიკვიდურობის დონეების, საკრედიტო პოზიციების, მოთხოვნების პოზიციებისა და გაუფასურების რეზერვის მართებულობას. დირექტორთა საბჭო თვეში ერთხელ იღებს რისკის ამომწურავ ანგარიშს. ამ ანგარიშებში ჯგუფის რისკების შეფასებისა და მათზე დასკვნების გამოტანისთვის საჭირო სრული ინფორმაციაა წარმოდგენილი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)**რისკის მიტიგაცია**

ჯანდაცვის მომსახურების მიმღები ფიზიკური პირების მიმართ ჯგუფი აქტიურად იყენებს ერთობლივი ფინანსური პასუხისმგებლობის მიდგომას, რომელიც წარმოიშობა ჯანდაცვის მომსახურების გაწევისას ისეთი ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც თავად იხდიან მომსახურების ღირებულებას. ამ მიდგომის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს გარეთ გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მიმღები შესაბამისი დებიტორების მართვა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებელმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაქტების, ასევე პროდუქტებისა და ვალუტების კონცენტრაციებისთვის, და რისკების ამ ლიმიტებთან დაცვის მონიტორინგით. გარდა ამისა, ჯგუფი აწესებს და რეგულარულად აკონტროლებს კრედიტის ვადებს მოვალეების ტიპების მიხედვით, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროაქტიული ხერხია.

ჯგუფმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რომ უზრუნველყოს კონტრაქტების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. ეს მოიცავს სესხის დაფარვისა და მოთხოვნების ვადების რეგულარულ ანალიზს. კონტრაქტის ლიმიტების დადგენა ხდება კრედიტის პირობებთან ერთად. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ჯგუფს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი ჯგუფის მიერ იმართება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა და საკრედიტო ხარისხი აქტივის კლასის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

	ზარალის დონე	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი ზარალი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი, 2024 წ.				
<i>კოლექტიურად შეფასებული</i>				
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები				
30 დღემდე ვადაგადაცილებული	1.1%	18,573	209	18,364
30-61 ვადაგადაცილებული დღე	1.4%	20,603	278	20,325
61-90 ვადაგადაცილებული დღე	1.1%	15,130	172	14,958
90-180 ვადაგადაცილებული დღე	3.2%	27,711	881	26,830
180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	84.8%	61,898	52,484	9,414
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)		143,915	54,024	89,891
სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები				
სხვა მოთხოვნები	36.7%	9,334	3,426	5,908
გაცემული სესხები (1-ელი სტადია)	–	736	–	736
სულ სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები		10,070	3,426	6,644

ფინანსური გარანტიები

ჯგუფის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული

საწარმოების ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებით

გაცემული ფინანსური გარანტიები (1-ელი სტადია)

0.7%

36,190

270

35,920

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)****საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით (გაგრძელება)**

	ზარალის დონე	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი ზარალი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი, 2023 წ.				
<i>კოლექტიურად შეფასებული</i>				
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები				
30 დღემდე ვადაგადაცილებული	2.0%	18,356	373	17,983
30-61 ვადაგადაცილებული დღე	2.6%	17,862	470	17,392
61-90 ვადაგადაცილებული დღე	2.2%	16,347	368	15,979
90-180 ვადაგადაცილებული დღე	2.9%	37,387	1,085	36,302
180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	87.5%	51,808	45,357	6,451
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)		141,760	47,653	94,107
სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები				
სხვა მოთხოვნები	8.0%	43,770	3,480	40,290
გაცემული სესხები (1-ელი სტადია)	–	1,242	–	1,242
სულ სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები		45,012	3,480	41,532
	ზარალის დონე	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი ზარალი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
1 იანვარი, 2023 წ.				
<i>კოლექტიურად შეფასებული</i>				
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები				
30 დღემდე ვადაგადაცილებული	1.3%	25,641	322	25,319
30-61 ვადაგადაცილებული დღე	1.89%	20,842	394	20,448
61-90 ვადაგადაცილებული დღე	2.87%	19,785	568	19,217
90-180 ვადაგადაცილებული დღე	13.17%	30,213	3,980	26,233
180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	91.35%	32,761	29,926	2,835
სულ ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მე-8 შენიშვნა)		129,242	35,190	94,052
სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები				
სხვა მოთხოვნები	44.1%	5,999	2,643	3,356
გაცემული სესხები (1-ელი სტადია)	–	1,470	–	1,470
სულ სხვა მოთხოვნები და სხვა აქტივები		7,469	2,643	4,826

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რეიტინგი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით (გაგრძელება)

გაცემულ სესხებს და ფინანსურ გარანტიებს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგი და არ არის უზრუნველყოფილი. გაცემული სესხები არ არის ვადაგადაცილებული 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გაცემული სესხების და ფინანსური გარანტიების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. გაცემული სესხების და ფინანსური გარანტიების დეფოლტის საკუთარი ისტორიული სტატისტიკის არარსებობის გამო, ჯგუფმა მნიშვნელოვანი განსჯა გამოიყენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის საორიენტაციო მაჩვენებლებთან მიმართებით, აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით. მნიშვნელოვანი განსჯა გახდა ასევე საჭირო კონტრაქტების სავარაუდო საკრედიტო რეიტინგის დასადგენად სავარაუდო დეფოლტის ალბათობის გამოყენების მიზნით. ამ განსჯის გამოყენებისას ჯგუფმა მხედველობაში მიიღო მსოფლიოს მასშტაბით ჯანდაცვის სექტორის საკრედიტო რეიტინგების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. 2024 წელს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი, მიკუთვნებადი გაცემული ფინანსური გარანტიებისთვის, წარმოდგენილია ცალკე კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო მათთან დაკავშირებული ვალდებულება წარმოდგენილია სხვა ვალდებულებებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდურობის საჭიროების ყოველდღიურ მონიტორინგს.

ჯგუფი მართავს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას მათი უკეთესად დაბალანსებისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდურობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. ჯგუფის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკები არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის მოსვლის გამო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს დარღვეული ჰქონდა ფინანსური პირობები, რომლებიც უკავშირდება უცხოური და ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხებ სახსრებს და რომელთა მიმართებაშიც მოთხოვნის უფლების დათმობა იქნა მოპოვებული საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. 107,702 ლარის ნასესხები სახსრები კლასიფიცირდა, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები (მე-14 შენიშვნა). ჯგუფის ხელმძღვანელობას ფინანსური დაწესებულებებისგან მოთხოვნის უფლების დათმობის მოპოვებისა და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ პირობებზე ხელახლა მოლაპარაკების წარმატებული გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, როგორც 1-ელ შენიშვნაში აღინიშნა, ჯგუფის ხელმძღვანელობამ დაიწყო ობლიგაციების გამოშვების პროცესი და უკვე დაიქირავა განთავსების აგენტები ამ მიზნით, რათა განათავსოს 5-წლიანი 350 მილიონი ლარის სავალო ფასიანი ქაღალდები 2025 წლის ივლისში. შესაბამისად, ქვედა ცხრილში ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანუ იმისდა მიხედვით, მათი ამოღება ან დაფარვა არის თუ არა მოსალოდნელი თორმეტ თვეზე მეტ ვადაში:

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

31 დეკემბერი, 2024 წ.	3 თვეზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	38,784	–	38,784
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	80,150	9,741	89,891
მარაგები	30,852	–	30,852
გადახდილი ავანსები	6,471	5,106	11,577
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	–	539,524	539,524
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	92,764	92,764
სხვა აქტივები	11,426	14,778	26,204
სულ აქტივები	167,683	661,913	829,596
ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	39,575	–	39,575
სავაჭრო ვალდებულებები	25,750	–	25,750
საიჯარო ვალდებულებები	6,086	26,077	32,163
ნასესხები სახსრები	70,579	271,668	342,247
სხვა ვალდებულებები	9,705	–	9,705
სულ ვალდებულებები	151,695	297,745	449,440
ნეტო პოზიცია	15,988	364,168	380,156
31 დეკემბერი, 2023 წ.	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	34,271	–	34,271
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	85,174	8,933	94,107
სხვა მოთხოვნები	30,560	–	30,560
მარაგები	29,251	–	29,251
გადახდილი ავანსები	5,946	3,464	9,410
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	–	515,236	515,236
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	83,084	83,084
სხვა აქტივები	15,585	16,171	31,756
სულ აქტივები	200,787	626,888	827,675
ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	41,909	–	41,909
სავაჭრო ვალდებულებები	29,086	–	29,086
საიჯარო ვალდებულებები	5,106	20,975	26,081
ნასესხები სახსრები	37,883	244,650	282,533
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	47,504	–	47,504
სხვა ვალდებულებები	6,796	–	6,796
სულ ვალდებულებები	168,284	265,625	433,909
ნეტო პოზიცია	32,503	361,263	393,766

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

<i>1 იანვარი, 2023 წ.</i>	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35,333	–	35,333
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	87,827	6,225	94,052
მარაგები	24,688	–	24,688
გადახდილი ავანსები	2,596	7,257	9,853
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	–	518,868	518,868
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	–	79,482	79,482
სხვა აქტივები	5,426	16,464	21,890
სულ აქტივები	155,870	628,296	784,166
ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	38,423	–	38,423
სავაჭრო ვალდებულებები	26,205	–	26,205
საიჯარო ვალდებულებები	3,753	13,869	17,622
ნასესხები სახსრები	54,734	166,678	221,412
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	7,144	40,434	47,578
სხვა ვალდებულებები	6,870	–	6,870
სულ ვალდებულებები	137,129	220,981	358,110
ნეტო პოზიცია	18,741	407,315	426,056

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფის ლიკვიდურობის არსებული დონე საკმარისია ყველა მისი მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად და დავალიანების დროულად დასაფარად. ჯგუფი ასევე ახალანებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებს და უარყოფით გეპეზზე მაქსიმალურ ლიმიტს აწესებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
სავაჭრო ვალდებულებები	25,750	–	–	–	25,750
ნასესხები სახსრები	147,077	47,891	192,164	23,554	410,686
საიჯარო ვალდებულებები	1,660	4,632	21,392	15,311	42,995
სხვა ვალდებულებები: გადასახდელი დივიდენდები (1-ელი შენიშვნა)	–	2,932	–	–	2,932
სხვა ვალდებულებები: ფინანსური გარანტიები (მაქსიმალური მოცულობა) (მე-14 შენიშვნა)	36,190	–	–	–	36,190
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	210,677	55,455	213,556	38,865	518,553

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

<i>31 დეკემბერი, 2023 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტე</i>	<i>სულ</i>
სავაჭრო ვალდებულებები	29,086	–	–	–	29,086
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,651	51,517	–	–	53,168
ნასესხები სახსრები	134,452	100,165	83,351	–	317,968
საიჯარო ვალდებულებები	1,339	3,949	17,669	11,754	34,711
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	166,528	155,631	101,020	11,754	434,933

<i>1 იანვარი, 2023 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტე</i>	<i>სულ</i>
სავაჭრო ვალდებულებები	26,205	–	–	–	26,205
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,651	4,970	51,970	–	58,591
ნასესხები სახსრები	13,690	34,529	234,681	–	282,900
საიჯარო ვალდებულებები	951	2,802	11,914	6,388	22,055
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	42,497	42,301	298,565	6,388	389,751

ჯგუფი მოელოს, რომ შემდეგს ყველა მომავალი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას ოპერაციებიდან შემოსულობის გამოყენებით, არსებული სესხების რეფინანსირებით (1-ელი შენიშვნა) და მშობელი საწარმოსგან დამატებითი დაფინანსების მოპოვებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ცვლილების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. ჯგუფს აქვს საბაზრო რისკები. ჯგუფი მისთვის მისაღები საბაზრო რისკის დონეების სტრუქტურირებას ახდენს ჯგუფის საბაზრო რისკის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს ჯგუფისთვის საბაზრო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. ჯგუფს აქვს SOFR-სა (უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთი) და სებ-ის მოკლევადიანი სესხის რეფინანსირების განაკვეთებზე მიბმული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები და ამიტომ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>			<i>31 დეკემბერი, 2023 წ.</i>		
	აშშ დოლა- ლარი			აშშ დოლა- ლარი		
	ლარი	ერი	ევრო	ლარი	ერი	ევრო
ნასესხები სახსრები	11.5%	9.3%	3.8%	13.7%	4.6%	3.8%

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი (გაგრძელება)****საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)**

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის მგრძნობელობა არის საპროცენტო განაკვეთის დასაშვები ცვლილების ეფექტი წლის საპროცენტო ხარჯზე. 2024 და 2023 წლებში მგრძნობელობის ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა ჯგუფის კაპიტალზე. მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიმართ, როდესაც სხვა ცვლადები უცვლელია:

ვალუტა	31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.	
	სავალუტო კურსის		სავალუტო კურსის	
	საბაზისო პუნქტებში	მოგება-ზარალის მგრძნობელობა	საბაზისო პუნქტებში	მოგება-ზარალის მგრძნობელობა
ლარი	-2.50%	7,460	-2.50%	7,305
აშშ დოლარი	2.23%	(773)	2.23%	(529)
ლარი	2.50%	(7,460)	2.50%	(7,305)
აშშ დოლარი	-2.23%	773	-2.23%	529

სავალუტო რისკი

ჯგუფს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა. ჯგუფის ძირითადი გარიგებები ლარში ხორციელდება და სავალუტო რისკი ძირითადად აშშ დოლართან მიმართებით აქვს.

ჯგუფის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი ვალდებულებები, კერძოდ, ჯგუფის კომპანიების სამუშაო ვალუტაში - ლარში. ჯგუფის ოპერაციების უმეტესობაც ლარშია გამოხატული. ეს ამცირებს ოპერაციებთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკს ძირითადად განაპირობებს აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრები, რომლებიც ნაწილობრივ ჰეჯირებულია ბანკებში განთავსებული ფულადი ანაზრებით, რომლებიც ასევე აშშ დოლარშია გამოხატული და სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებებით ჯგუფის კონტრაქტებთან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ის ვალუტები, რომლებშიც გამოხატულ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე ჯგუფს 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი მერყეობის გავლენას, როდესაც ყველა სხვა ცვლადი მუდმივია მოგებაში ან ზარალში. ცხრილში უარყოფითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგებაში ან ზარალში, ხოლო დადებითი თანხა ასახავს პოტენციურ წმინდა ზრდას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი (გაგრძელება)****სავალუტო რისკი (გაგრძელება)**

	31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.		1 იანვარი, 2023 წ.	
	აშშ დოლარ- რი	ევრო	აშშ დოლარ- რი	ევრო	აშშ დოლარ- რი	ევრო
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26,962	675	36	78	1,789	2,123
სულ ფულადი აქტივები	26,962	675	36	78	1,789	2,123
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	34,919	9,267	23,732	14,118	42,200	14,422
საიჯარო ვალდებულებები	32,163	–	26,081	–	17,622	–
სულ ფულადი ვალდებულებები	67,082	9,267	49,813	14,118	59,822	14,422
ნეტო ფულადი პოზიცია	(40,120)	(8,592)	(49,777)	(14,040)	(58,033)	(12,299)
სავალუტო კურსის გონივრულად მოსალოდნელი პროცენტული ზრდა %	5.49%	5.80%	5.93%	6.04%	16.34%	29.3%
ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(2,203)	(498)	(2,952)	(848)	(9,483)	(3,604)
სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი პროცენტული შემცირება	-5.49%	-5.80%	-5.93%	-6.04%	-16.34%	-29.3%
ეფექტი მოგებაზე მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	2,203	498	2,952	848	9,483	3,604

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც კონტროლის მექანიზმები ეფექტურად არ ხორციელდება, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ჯგუფი ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომლების განათლებისა და შეფასების პროცესებს და შიდა აუდიტის გამოყენებას.

საოპერაციო გარემო

ჯგუფის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (იმ რისკის ჩათვლით, რომ ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას ქვეყნის გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განვითარებული სასესხო და კაპიტალის ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ეს მოიცავს ახალი კანონმდებლობის მიღებას (ახალი საგადასახადო კოდექსის და საპროცესო კანონების ჩათვლით). დირექტორთა საბჭოს აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნეს რისკებს საქართველოში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

28. რისკის მართვა (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მსოფლიო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება.

29. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ჯგუფი შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი; და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან ემპირიულ საბაზრო მონაცემებს.

ქვედა ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით. მათში ასევე შესულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში. 2024 წლისა და 2023 წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

29. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

31 დეკემბერი, 2024 წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი)
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
სხვა აქტივები: კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	7,945	–	–	7,945	7,945	–
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	89,891	89,891	89,891	–
სხვა აქტივები: მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	5,099	5,099	5,099	–
სხვა აქტივები: საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	2,997	2,997	2,997	–
სხვა აქტივები: სარეზიდენტო პროგრამასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	1,238	1,238	1,238	–
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	–	–	736	736	736	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	–	–	340,497	340,497	342,247	1,750
სავაჭრო ვალდებულებები	–	–	25,750	25,750	25,750	–

31 დეკემბერი, 2023 წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი)
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
სხვა აქტივები: კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	7,857	–	–	7,857	7,857	–
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	94,107	94,107	94,107	–
სხვა მოთხოვნები	–	–	30,560	30,560	30,560	–
სხვა აქტივები: მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	8,418	8,418	8,418	–
სხვა აქტივები: საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	3,521	3,521	3,521	–
სხვა აქტივები: სარეზიდენტო პროგრამასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	1,271	1,271	1,271	–
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	–	–	1,242	1,242	1,242	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	–	–	281,245	281,245	282,533	1,288
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	–	47,716	47,716	47,504	(212)
სავაჭრო ვალდებულებები	–	–	29,086	29,086	29,086	–

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

29. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

1 იანვარი, 2023 წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი)
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
სხვა აქტივები: კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	7,274	–	–	7,274	7,274	–
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	94,052	94,052	94,052	–
სხვა აქტივები: მარაგების და აღჭურვილობის გაყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	2,838	2,838	2,838	–
სხვა აქტივები: საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	2,519	2,519	2,519	–
სხვა აქტივები: სარეზიდენტო პროგრამასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	–	642	642	642	–
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	–	–	1,470	1,470	1,470	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	–	–	220,681	220,681	221,412	731
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	–	47,634	47,634	47,578	(56)
სავაჭრო ვალდებულებები	–	–	26,205	26,205	26,205	–

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: ჯგუფმა გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, ჯგუფის აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საწყისი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.		1 იანვარი, 2023 წ.	
	მშობელი საწარმო*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული და სხვა საწარმოები**	მშობელი საწარმო*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული და სხვა საწარმოები**	მშობელი საწარმო*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული და სხვა საწარმოები**
აქტივები						
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	–	12,983	–	9,143	–	9,623
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (ჯანდაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები)	–	(425)	–	(307)	–	(301)
სხვა აქტივები: საოპერაციო იჯარები	–	902	–	2,469	–	1,824
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი (საოპერაციო იჯარები)	–	(30)	–	(83)	–	(61)
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები: სხვა	–	2,351	–	4,542	–	4,532
	–	15,781	–	15,764	–	15,617
ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები	–	6,279	–	6,134	–	6,755
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები***	–	–	14,031	–	–	–
ნასესხები სახსრები	–	19,032	–	26,070	–	33,349
გაცემული ფინანსური გარანტიები (მაქსიმალური მოცულობა)	–	36,190	–	–	–	–
	–	61,501	14,031	32,204	–	40,104

* 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის, მშობელი საწარმო მოიცავს უშუალო მშობელ საწარმოს – სს „საქართველოს კაპიტალს“ და საბოლოო მშობელ საწარმოს – საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალს“.

** საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები არიან საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ შვილობილი საწარმოები.

*** 2023 წელს ჯგუფმა მშობელ საწარმოს მიჰყიდა „ვევესი ჰოსპიტლების“ მიერ 2019 წელს გამოშვებული და მანამდე ჯგუფის შიგნით ფლობილი ობლიგაციები. ჯგუფმა ამ ტრანზაქციიდან 14,068 ლარის შემოსულობა ასახა, როგორც აღებული სესხები და ობლიგაციები კონსოლიდირებული ცალკე გამოყოფილი ფულადი ნაკადების ანგარიშგების საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ნაწილში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

30. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

	2024		2023	
	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები და სხვა დაკავშირებული მხარეები		საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები და სხვა დაკავშირებული მხარეები	
	მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო
შემოსავალი და ხარჯები				
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	–	14,163	–	10,590
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	–	(2,795)	–	(2,806)
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების და სხვა აქტივების გაუფასურება	–	(65)	–	(28)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	–	(99)	–	(77)
საპროცენტო ხარჯი	(1,017)	(1,403)	(982)	(2,118)
გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	(270)	–	–
	(1,017)	9,531	(982)	5,561

უმადლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2024	2023
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	2,291	1,960
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	1,651	1,376
სულ უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება, აღიარებული ხელფასებსა და დასაქმებულთა გასამრჯელოებში*	3,942	3,336
გათავისუფლებული უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ხელფასე და ფულადი პრემიები	684	1,032
გათავისუფლებული უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	184	1,589
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	4,810	5,957

* უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილია დირექტორთა საბჭოს წევრებით.

31. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის თებერვალში კომპანიის დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა 350 მილიონლარში გამოხატული სოციალური ობლიგაციების გამოშვება. ობლიგაციების გამოშვების მიზანია კაპიტალური დანახარჯებისთვის ფულადი სახსრების მოპოვება და არსებული საბანკო სესხების რეფინანსირება. ობლიგაციების მიზანია კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი ინიციატივების მხარდაჭერა და მათი შესაბამისობაში მოყვანა სტრატეგიულ ამოცანებთან. ობლიგაციების გამოშვება მოსალოდნელია 2025 წლის ივლისში, საბაზრო პირობების მიხედვით.


2025 წლის იანვარ-აპრილში ჯგუფმა გააფორმა ლარში გამოხატული სასესხო ხელშეკრულება ადგილობრივ ბანკთან 10,000 ლარის აგრეგირებულ მოკლევადიან სესხზე, ცვალებადი განაკვეთით, რომელიც ეყრდნობა საქართველოს ეროვნული ბანკის განაკვეთს + წლიურ 7.5%-ს და დაფარვის ვადა ეწურება 2026 წლის მარტში. გარდა ამისა, ჯგუფმა გააფორმა ლარში გამოხატული სასესხო ხელშეკრულება ადგილობრივ ბანკთან 25,000 ლარის აგრეგირებულ გრძელვადიან სესხზე, ცვალებადი განაკვეთით, რომელიც ეყრდნობა სეზ-ის განაკვეთს + წლიურ 7.7%-ს და დაფარვის ვადა ეწურება 2035 წლის იანვარში. ჯგუფმა ასევე გააფორმა ევროში გამოხატული სასესხო ხელშეკრულება ადგილობრივ ბანკთან 2,300 ევროს აგრეგირებულ გრძელვადიან სესხზე, ცვალებადი განაკვეთით, რომელიც ეყრდნობა სეზ-ის განაკვეთს + წლიურ 9%-ს და დაფარვის ვადა ეწურება 2035 წლის თებერვალში.



შინაარსი

მმართველობის ანგარიშგება

1. საქმიანობის მიმოხილვა2
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება8
3. არაფინანსური ანგარიშგება9





საქმიანობის მიმოხილვა

შესავალი

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ („კომპანია“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2024 წლის 17 დეკემბერს (რეგისტრაციის ნომერი 405746634). კომპანიის იურიდიული მისამართია: სულხან ცინცაძის ქუჩა #24ა, თბილისი, საქართველო. კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები მოიხსენიებიან როგორც „ჯგუფი“ ან „GHG“. ჯგუფი სამედიცინო მომსახურებას უწევს პაციენტებს სტაციონარული და ამბულატორიული მიმართულებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოების, კლინიკებისა და ლაბორატორიის მეშვეობით.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების საბოლოო მფლობელი იყო Georgia Capital PLC („GCAP“), რომელის რეგისტრაციის ადგილია ლონდონი, ინგლისი.



ჯგუფის უმსხვილესი დებიტორი სახელმწიფოა, რომლის მიმართაც ჯგუფს მოთხოვნა გააჩნია „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ (შემდგომში „სჯპ“) ფარგლებში. ეს პროგრამა სახელმწიფომ 2013 წელს შემოიღო და ის ფარავს საქართველოს მთელს მოსახლეობას, მათ შორის 2 მილიონზე მეტ ისეთ ადამიანს, რომლებსაც ამ პროგრამის შემოღებამდე არ ჰქონდათ ჯანმრთელობის დაზღვევა.

პროგრამის დანერგვა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა:

● მარტი 2013

უფასო გადაუდებელი სტაციონარული და ლიმიტირებული ამბულატორიული სერვისების შეთავაზება მოხდა იმათთვის, ვინც აქამდე არ სარგებლობდა სახელმწიფო ან კერძო სადაზღვევო სერვისებით (დაახლ. 2 მილიონი ადამიანი, მათ შორის 6 წელს ზემოთ ბავშვები და მოზარდები).

● ივლისი 2013

სჯპ გაფართოვდა და მოიცვა ინტენსიური თერაპია, გეგმიური თერაპია, გეგმიური ქირურგია, ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობაც (მათ შორის რადიოთერაპია, ქიმიოთერაპია და ჰორმონალური თერაპია) და ასევე მშობიარობის ხარჯები;

● აპრილი 2014

სჯპ-მ ჩაანაცვლა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა, რომელიც ემსახურებოდა სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს 2007 წლიდან;

● სექტემბერი 2014

სჯპ-მ ჩაანაცვლა მეორე სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა (165-3 დადგენილების შესაბამისად), რომელიც ემსახურებოდა პენსიონერებს, 6 წლამდე ბავშვებსა და სტუდენტებს.





ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ჰოსპიტლები

ჯგუფი ჯამში ფლობს 34 ჰოსპიტალს, აქედან 7 დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოა, ხოლო 27 კი რეგიონული ჯამში 2,219 საწოლით. ჯგუფი ფლობს 16 პოლიკლინიკას, რომელიც მომხმარებლებს მხოლოდ ამბულატორიულ სერვისებს სთავაზობს. 16 პოლიკლინიკიდან 12 თბილისის ტერიტორიაზე მდებარეობს, ხოლო დარჩენილი 4 რეგიონებში.





ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2024

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

400,233,000 ლ

საერთო მოგება

152,692,000 ლ

EBITDA¹

73,701,000 ლ

წლის ზარალი

(12,307,000)


¹ შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

ჯგუფისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე. შემოსავალი პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე განისაზღვრება, როგორც ჯგუფის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან და წმინდა არარეგულარული (ხარჯი)/შემოსავალი



ბიზნესის სტრუქტურა

ჯგუფი არის ჯანდაცვის მომსახურების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი ბაზარზე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სწრაფად მზარდ, უპირატესად კერძო საკუთრებაში მყოფ ეკოსისტემას. ჩვენ ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია გვიჭირავს ბაზარზე შეთავაზებული სერვისების რაოდენობით, აგრეთვე სტაციონარული და ამბულატორიული სერვისების მრავალფეროვნებით. ჯგუფის მიერ შეთავაზებული ჯანდაცვის სერვისები გათვლილია ფართო საზოგადოებაზე.





საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

ჯგუფი ცდილობს გააფართოვოს შემოსავლის წყაროები და, ამ გზით, შეამციროს დამოკიდებულება სჯპზე. ამ მიზნით ჩვენ განვაგრძობთ გეგმიური და შერჩევითი სერვისების რაოდენობის ზრდას, ასევე ვაფართოვებთ პოლიკლინიკების მიმართულებას რამაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავლის წილის შემცირებაში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ეს საკითხი დეტალურად არის განხილული ამავე ანგარიშის მესამე პარაგრაფში (არაფინანსური ანგარიშგება).

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კოდექსის პრაქტიკის მიმოხილვა

ჯგუფი მაღალ დონეზე ინარჩუნებს კორპორაციული მართვის სტანდარტებს, სამეთვალყურეო საბჭოში შემავალი პირები კარგად იცნობენ ჯგუფის წესდების სტანდარტებს.

მმართველობითი ორგანო

კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ღირებულების დანიშვნასა და მის ზედამხედველობაზე. კომპანიის ღირებულორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციებში შედის. სამეთვალყურეო საბჭო და შესაბამისი კომიტეტები პასუხისმგებელია ჯგუფის გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრასა და სწორი პრიორიტეტების დასახვაში. საბჭო ასევე პასუხისმგებელია რისკების მართვასა და მიტიგაციაზე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი არაადმინისტრაციული წევრისაგან. ჩვენ გვჯერა, რომ საბჭოს ზომა და შემადგენლობა საუკეთესოა დადგენილი მიზნების მისაღწევად. საბჭოს აქვს ფორმალური და გამჭვირვალე პროცესები წევრების შერჩევისა და დანიშვნის პროცესში. მიზანი არის, რომ საბჭო კარგად იყოს დაბალანსებული და იდეალურად მოერგოს ბიზნესის ინტერესებს. ჯგუფი მუდმივად ცდილობს, რომ აღმოფხვრას უკანონო და უსამართლო დისკრიმინაცია. სამეთვალყურეო საბჭო მიესალმება დივერსიფიკაციას ყველა ფორმით, რომელიც ასახულია მის დივერსიფიკაციის პოლიტიკაში. დივერსიფიკირებული უნარები, ცოდნა, ეროვნება, რელიგია და სხვა ფაქტორები მხვედველობაში იქნება მიღებული ახალი ღირებულების დანიშვნის პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის დანიშვნის დროს, გადაწყვეტილება ყოველთვის კანდიდატის დამსახურების მიხედვით იქნება მიღებული.

არაფინანსური ანგარიშგება

არაფინანსური საკითხები

გარემოს დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჯგუფის საქმიანობას ზეგავლენა აქვს გარემოზე და ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით. ზუსტად ამ მიზნით ჯგუფში არის შექმნილი გარემოს დაცვის მიმართულება რომელიც კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არის ორიენტირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით სამედიცინო ნარჩენებია, რომელიც ყველაზე მსხვილი ნარჩენი პროდუქტია ჩვენს საქმიანობაში. სამედიცინო ნარჩენების უტალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნელ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირებაა შესაძლებელი პროცესების სწორად მართვით. ჩვენ ვიცავთ პოლიტიკის მიხედვით აღიარებულ ნორმებს, რომელიც ჩვენს ვებსაიტზეა გამოქვეყნებული:

<http://ghg.com.ge/uploads/files/Environmental%20and%20Social%20Policy.pdf>

სამედიცინო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც ჯგუფშია დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან განსამკლავებლად. ჩვენ დავნერგეთ სამედიცინო ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, წონა და ტრანსპორტირების ფორმა. ჯგუფში ჩატარდა შიდა ტრენინგები ამ თემაზე, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში თანამშრომლებს შესაბამისი სერტიფიკატი დაურიგდათ. თითოეულ კლინიკაში სპეციალიზებული ოთახებია შექმნილი, სადაც სამედიცინო ნარჩენები ინახება (არაუმეტეს 24 საათისა), სანამ მათი შენობიდან გატანა მოხდება. ზიანის შემცირების მიზნით ჯგუფი სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციისთვის იყენებს კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ამ საკითხში არის სპეციალიზებული. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება, რომელიც ჩვენი საქმიანობის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს.

სოციალური და დასაქმების საკითხები

ჯგუფის თითოეული წევრი საკუთარ როლს თამაშობს საერთო წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში, ასევე ჩვენ გავზარდეთ მომსახურების მრავალფეროვნება და სერვისების რაოდენობა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა 10,209-ზე მეტს შეადგენდა, რაც ჯგუფს ერთერთი უმსხვილეს დამსაქმებლად აქცევს ქვეყანაში. ჯგუფი სტანდარტულ რეჟიმში განიხილავს დასაქმების ყველა აპლიკაციას, რომელიც შპმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწევდეთ მუშაობა.

ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჯგუფი უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე. ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგილია ჯგუფში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ჯგუფი ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბიზნესსა და მის რეპუტაციაზე. ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება. კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

<http://ghg.com.ge/uploads/files/antibribery-and-anticorruption-policy-20.pdf>

დივერსიფიკაციის პოლიტიკა

კომპანიის მიერ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის დეტალური აღწერა მოცემულია შემდეგ მისამართზე:

<http://ghg.com.ge/uploads/files/Diversity%20policy.pdf>

ბიზნესმოდელის მიმოხილვა

ჩვენ გვაქვს ინტეგრირებული ბიზნეს მოდელი, სადაც პოლიკლინიკები ხშირად არის მომხმარებელთან ინტერაქციის პირველი წერტილი, რის შემდეგაც ისინი გადამისამართდებიან სპეციალიზებულ ან რეგიონულ ჰოსპიტლებში. სერვისების მოკლე აღწერა გამოიყურება შემდეგნაირად:

პოლიკლინიკა: მომხმარებელს სთავაზობს მხოლოდ ამბულატორიულ სერვისებს.



რეგიონული ჰოსპიტალი: მომხმარებელს სთავაზობს გაფართოვებულ აბულატორიულ სერვისებს, ასევე რიგ მულტიპროფილურ სტაციონარულ სერვისებს.

დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტალი: მომხმარებელს სთავაზობს კომპლექსური და სპეციალური სერვისების ფართო სპექტრს, სტაციონარულ და ამბულატორიულ სერვისებს.

დიაგნოსტიკური ცენტრი: მომხმარებელს სთავაზობს როგორც საბაზისო ლაბორატორიულ ტესტებს, ასევე ონკოლოგიურ და მოლეკულურ კვლევებს მაღალი სიმძლავრის ავტომატიზებული სისტემების დახმარებით.

საქმიანობის რისკების ანალიზი

ჯგუფი ოპერირებს ისეთ ბიზნესგარემოში, სადაც სხვადასხვა რისკები და გაურკვევლობები არსებობს, რომელთა უგულობელყოფამ შესაძლოა მატერიალური ეფექტი იქონიოს ბიზნესზე. ჩვენ ვაცნობიერებთ რომ რისკების ეფექტური მართვა და ძლიერი შიდა კონტროლების სისტემა საკვანძო რგოლია სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის და ჩვენი მომხმარებლებისა და უბრალოდ სთეიქჰოლდერების ინტერესების დასაცავად. ჩვენ გვაქვს რისკის მართვის ფორმალიზებული პოლიტიკა, რომელიც დეტალურად გაწერს პროცედურებს, ადგენს ავტორიზაციების სხვადასხვა დონეებს და თავის თავში მოიწერებს რეპორტინგსაც. სამეთვალყურეო საბჭო და ჯგუფის მენეჯმენტი სრულად არის პასუხისმგებელი რისკების მართვასა და მიტიგაციაზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც გამოვლენილი იყო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, გამოიყურება შემდეგნაირად:

- ჯგუფი ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება ჯგუფის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებებზე საკანონმდებლო სისტემაში. ჯგუფში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა ჯგუფმა კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. ჯგუფის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. ჯგუფში რეგულარულად ტარდება შიდა აუდიტი, რომელიც გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ კეთდება. შედეგები განიხილება კლინიკური უსაფრთხოებისა და ხარისხის მიმართულების მიერ ყოველწარტალურად.



• ჯგუფის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, შემდგომი განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედლებისა და სხვა პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და ჯგუფი ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება მაღალ ბონუსებსა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.

• ჯგუფი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსაგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფომ შესაძლოა დააგვიანოს თანხების ჩარიცხვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შემცირებულმა ტარიფებმა და გადახდის ვადის გაზრდამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე. ჯგუფი ამ რისკის შემცირებას ცდილობს და დაწყებული აქვს მუშაობა შემოსავლების დივერსიფიკაციასა და ამბულატორიული სერვისების რაოდენობის გაზრდაზე.

• ჯგუფს აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს და/ან ეს ინფორმაცია მესამე პირის ხელში მოხვდეს. ამ რისკების მინიმიზაციის მიზნით, 2017 წელს, ჯგუფმა დააარსა კორპორატიული უსაფრთხოების დეპარტამენტი და ის მაღალკვალიფიციური კადრებით დააკომპლექტა. 2025 წლის ბოლომდე გაწერილია სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ჯგუფი ასევე თანამშრომლობს კონტრაქტორ კომპანიასთან კიბერ-უსაფრთხოების საკითხებში.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ძირითადი არაფინანსური მაჩვენებელი

- საწოლფონდი: 2,219
- დიდი ზომის რეფერალური ჰოსპიტლების საწოლთა დატვირთულობის მაჩვენებელი: 66.5%
- რაიონული საავადმყოფოების საწოლთა დატვირთულობის მაჩვენებელი: 58.1%
- რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობა: c765,000
- მეგა-ლაბის მიერ გაკეთებული ტესტები რაოდენობა: c2,712,000

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

ჯგუფში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა, რომლის მიზანია გარემოზე მავნელ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება. ჯგუფში დანერგილია ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია. ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭო და მმართველი გუნდი მნიშვნელოვან როლს თამაშობს რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში მთელს ჯგუფში.

ირაკლი გოგია

CEO



1 მაისი 2025

შემდგომ გვერდებზე წარმოდგენილი ინფორმაცია არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ნაწილს.

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ განცხადება

2024 წლის განმავლობაში სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ არ იყო საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (სდპ), შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში ჯგუფს არ ეკისრებოდა კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება.

სდპ სტატუსის მიღების შემდეგ, კომპანიამ უზრუნველყო კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესრულება და სრულ შესაბამისობაშია აღნიშნულ ჩარჩოსთან.

ირაკლი გოგია

დირექტორი

19 სექტემბერი, 2025




დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

 საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia											
განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ											
Application on submitting Corporate Governance Compliance Report											
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)	<table border="1"> <tr> <td>1</td> <td>9</td> <td>/</td> <td>0</td> <td>9</td> <td>/</td> <td>2</td> <td>0</td> <td>2</td> <td>5</td> </tr> </table>	1	9	/	0	9	/	2	0	2	5
1	9	/	0	9	/	2	0	2	5		

1. ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER	
ემიტენტის სახელწოდება/Issuer's Name	საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი / Georgia Healthcare Group
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	სააქციო საზოგადოება / Joint Stock Company
ოფიციალური მისამართი/Legal Address	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, სულხან
ტელეფონის ნომერი/Contact Number	577640073
ელ.ფოსტა/E-mail	igujabidze@ghg.com.ge
ვებ-გვერდი/Web Site	https://ghg.com.ge/en/

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDICES
